



ეჭვქვეშ აქვთ ჩაყენებული ანგარიშები

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
მარიამ ზაალიშვილი
მ. შაძლიაშვილი

24 დეკემბერი 2024 წელი
№ 44/36

ეგზ.1

მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების
ხელშეწყობის ეფექტიანობის აუდიტის
ანგარიში

საჩივრი

ტერმინთა განმარტება	5
შემაჯამებელი მიმოხილვა	6
1. შესავალი	15
1.1 აუდიტის მოტივაცია	15
1.2 აუდიტის პრობლემა და მთავარი კითხვები	16
1.3 აუდიტის კრიტერიუმები	17
1.4 აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია	18
2. ზოგადი ინფორმაცია	22
2.1 სფეროს აღწერა	22
2.2 სპორტული ინფრასტრუქტურა	24
2.3 ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა	24
2.4 კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა	25
აუდიტის მიგნებები	26
3. სახელმწიფო სპორტული ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა	26
3.1 სახელმწიფო ინფრასტრუქტურის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა	26
3.2 ფეხბურთის და კალათბურთის კლუბებისთვის სახელმწიფო სპორტული ინფრასტრუქტურის ფინანსური ხელმისაწვდომობა	30
4. კლუბების დაფინანსების მოდელი	38
4.1 სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კალათბურთის და ფეხბურთის კლუბების ფინანსური რესურსის ხარჯვა და მონიტორინგი	38
5. მწვრთნელთა მომზადება და გადამზადება	43
5.1 ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული საგანმანათლებლო პროგრამები	45
5.2 კალათბურთის მწვრთნელთა მომზადება და გადამზადება	47
6. ბავშვებსა და მოზარდებში ნიჭის გამოვლენისა და განვითარების სისტემა	51
6.1 სპორტის პრიორიტეტული სახეობები	51
6.2 ბავშვთა ასაკში სპორტული ნიჭის გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობის სისტემა	56
ბიბლიოგრაფია	62

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ეფექტიანობის აუდიტს ახორციელებს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს ეთიკის სტანდარტების დაცვასა და აუდიტის უკეთესი საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებას.



ტერმინთა განმარტება

სამინისტრო – საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

მინისტრი – საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი.

სკფ – საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია.

სფფ – საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია.

ფონდი – ა(ა)იპ – ფეხბურთის განვითარების ფონდი.

ეროვნული სპორტული ფედერაცია – არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირის სტატუსით დაფუძნებული, საერთაშორისო სპორტული ფედერაციის მიერ აღიარებული შესაბამისი სპორტის სახეობის მმართველი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უფლებამოსილია დებულების თანახმად მოაწიოს შეჯიბრებები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, ასევე უზრუნველყოფს ეროვნული ნაკრები გუნდების შეკრების და შეჯიბრებებში მონაწილეობის პროცესს. საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია წარმოადგენს სპორტის შესაბამის სახეობას როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

საერთაშორისო სპორტული ფედერაცია – საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს ერთ ან რამდენიმე სპორტის სახეობას. ადგენს სტანდარტებს და აწვევრიანებს ეროვნულ ფედერაციებს მსოფლიოს ან ევროპის მასშტაბით.

მწვრთნელი – პირი, რომელიც სათანადო კვალიფიკაციის შესაბამისად ახორციელებს სპორტის ამა თუ იმ სახეობაში სპორტული ვარჯიშების და საწვრთნელო პროცესის ორგანიზებას, ასევე პასუხისმგებელია შესაბამისი სპორტული კლუბის ან სპორტსმენის ადგილობრივ ან/და საერთაშორისო შეჯიბრებებზე შედეგების გაუმჯობესებასა და წარმატების მიღწევაზე.

FIBA – კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია.



შემაჯავებელი მიმოხილვა

მაღალი მიღწევების სპორტის ხელშეწყობა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს. ქვეყნის განვითარების სტრატეგიის მიხედვით,¹ აღნიშნულის მისაღწევად ჩამოყალიბდება სპორტის სფეროსადმი სისტემური მიდგომა, შეიქმნება სპორტის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო სახსრების უფრო შედეგიან ხარჯვასა და სპორტის გრძელვადიან, სისტემურ განვითარებას. მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშესაწყობად ჩამოყალიბდება ინსტიტუციური საფუძვლები და განისაზღვრება პირდაპირი და არაპირდაპირი გზებით დაფინანსების პრინციპები.

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით,² მაღალი მიღწევების სპორტის მდგრადი განვითარებისთვის სახელმწიფოს მხრიდან ძირითადი მხარდამჭერი მექანიზმებია:



სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა სამინისტროსა და შესაბამისი პასუხისმგებელი ერთეულების მიერ მაღალი მიღწევების სპორტის, კერძოდ, ფეხბურთისა და კალათბურთის მხარდაჭერისათვის განხორციელებული ღონისძიებებისა და დანერგილი მექანიზმების ეფექტიანობა.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი საკითხები:

სპორტული ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა

სპორტული ინფრასტრუქტურის გარეშე შეუძლებელია სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების განხორციელება.³ სახელმწიფოს მხრიდან სპორტის მხარდაჭერის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია მის საკუთრებაში არსებულ სპორტულ ობიექტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ბერკეტი გარკვეულწილად გამოყენებულია, არსებობს პროდუქტიულობის გაუმჯობესების პოტენციალი.

1 ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია, გვ. 203.


2 <https://sport.ec.europa.eu/news/new-study-on-the-european-sport-model>; [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:42020Y1204\(01\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:42020Y1204(01))

3 სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 2014-2020.



ძირითადი მიგნებები:

- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სრული და ზუსტი ინფორმაციის წარმოება ქვეყნის მასშტაბით არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ. სამინისტრო არ ფლობს სტატისტიკურ ინფორმაციას კალათბურთის და ფეხბურთის მიმართულებებით ქვეყნაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის – სახეობის, გეოგრაფიული დაფარვის მაჩვენებლის, მდგომარეობისა და ობიექტების რაოდენობის შესახებ;
- აუდიტის ჯგუფის მიერ მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის, ასევე კალათბურთის და ფეხბურთის პროფესიული კლუბების გამოკითხვის შედეგად ფიქსირდება, რომ ქვეყნის მასშტაბით, სტანდარტთან შესაბამისი და ამაღლოვლად – საკმარისი სპორტული ინფრასტრუქტურის არსებობა წარმოადგენს გამოწვევას და იკვეთება გეოგრაფიული დაფარვისა და ხელმისაწვდომობის საკითხები.




- ⚽ კალათბურთი: 63 მუნიციპალიტეტიდან 28 მუნიციპალიტეტში (44%) პროფესიული კალათბურთის მიმართულებით, სახელმწიფო ინფრასტრუქტურა არ არსებობს. მოცემული მუნიციპალიტეტებიდან 15 ერთეულში ფუნქციონირებს კალათბურთის სექცია, სადაც 2023 წლის მდგომარეობით ჯამში რეგისტრირებული იყო 579 ბავშვი/მოზარდი – მუნიციპალიტეტების მასშტაბით არსებული სექციის მოსარგებლეთა 15%;
- ⚡ ფეხბურთი: 63 მუნიციპალიტეტიდან 5 (8%) ერთეულში პროფესიული ფეხბურთის მიმართულებით, სახელმწიფო ინფრასტრუქტურა არ არსებობს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფუნქციონირებს სექცია/წრე, სადაც 2023 წელს მოსარგებლეთა ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 471⁴ – მუნიციპალიტეტების მასშტაბით არსებული სექციის მოსარგებლეთა 4%;
- კალათბურთის და ფეხბურთის კლუბების უმეტესობა იჯარით სარგებლობის წესით იყენებს სახელმწიფო ინფრასტრუქტურას, თუმცა აუდიტის ჯგუფის მიერ გამოკითხული კლუბების, დაახლოებით, 30%-ისთვის ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს გამოწვევას.⁵ ამაღლოვლად, რიგ შემთხვევებში საერთაშორისო სტანდარტების სახელმწიფო ინფრასტრუქტურა არ არის საკმარისად დატვირთული. 2023 წლის მონაცემებით, კალათბურთის

4 სექციის მოსარგებლეების მიერ, ძირითადად, სავარჯიშოდ გამოიყენება მინი-სპორტული მოედნები, რომლებიც განკუთვნილია მასობრივი სპორტის განვითარებისთვის.


5 გამოკითხვის შედეგად დაფიქსირებული პასუხების მიხედვით.

დარბაზები საშუალოდ დატვირთული იყო 40%-ით, ხოლო ფეხბურთის მოედნები – 45%-ით, რაც საშუალებას იძლევა გაიზარდოს კლუბებისთვის ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა.

⚽ 2023 წელს საერთაშორისო სტანდარტების სახელმწიფო ინფრასტრუქტურის დატვირთვის მაჩვენებლები:⁶



⚽ კალათბურთის და ფეხბურთის კლუბების გამოკითხვის შედეგები სახელმწიფო ინფრასტრუქტურაზე დაწესებული ტარიფით სარგებლობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით



შინაწინა მხარდაჭერა – დაწინაურების მოქმედება

ფეხბურთისა და კალათბურთის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების მიზანია ქვეყანაში აღნიშნული მიმართულებების განვითარება, რაც სხვა აქტივობებთან ერთად, კლუბების ფუნქციონირებისთვის საჭირო საბაზისო ხარჯების დაფინანსებას ითვალისწინებს. აუდიტის პერიოდში, აღნიშნული მიმართულებით ფეხბურთის შემთხვევაში, 2016-2022 წლებში გახარჯული იყო 144,423,349 ლარი,⁷ ხოლო კალათბურთის შემთხვევაში, 2018-2022 წლებში – 19,170,000 ლარი.⁸

6 თელავის, გორის, ბათუმის და ოლიმპიური სასახლის შემთხვევაში, მოცემულია ობიექტებზე არსებული დარბაზების დატვირთვის გასაშუალოებული მაჩვენებელი, ანალოგიურად ფეხბურთის ხელოვნურსაფარიანი და ბუნებრივსაფარიანი სტადიონების შემთხვევაში, მოცემულია სტადიონების საშუალო დატვირთვა.

7 2016-2022 წლების დაფინანსების ფარგლებში.

8 2018-2022 წლების დაფინანსების ფარგლებში.


ძირითადი მიგნებები:

- ფეხბურთის შემთხვევაში საბაზისო დაფინანსების კომპონენტის მიხედვით, არ არის შემუშავებული ერთგვაროვანი მიდგომა ლიგებს შორის. კერძოდ, რეგიონალური ლიგის გუნდებს მიღებული დაფინანსების ფარგლებში ფეხბურთელებისთვის შრომის ანაზღაურების გაცემის უფლება არ აქვთ და პრიორიტეტულად განსაზღვრულია მწვრთნელების და ადმინისტრაციული კადრების სახელფასო უზრუნველყოფა, ხოლო ფეხბურთელებისთვის კლუბის მხრიდან უნდა იყოს შემუშავებული პრემიალური სისტემა. 2019-2022 წლებში აღნიშნულ ლიგაში მოთამაშე კლუბების საშუალოდ 51%-ის მიერ შესაბამისი მუხლიდან ფეხბურთელებისთვის თანხა არ იყო გაცემული;
- კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, აუდიტის პერიოდისთვის სამინისტროს ან/და კალათბურთის ფედერაციის მიერ არ იყო დანერგილი მექანიზმები კლუბებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის ხარჯვის მონიტორინგისათვის.

მწვრთნელთა განათლებისა და განვითარების უზრუნველყოფა – საგანგანათლებლო პროგრამები

სპორტის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სასპორტო განათლება. მწვრთნელთა მომზადების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიონალი მწვრთნელების გადამზადებას, რომელსაც ახორციელებს შესაბამისი სახეობის ეროვნული სპორტული ფედერაცია და გასცემს ლიცენზიას.⁹ რაც შეეხება ქვეყნის მასშტაბით კალათბურთის და ფეხბურთის მწვრთნელების თანაფარდობას მოთამაშეთა რაოდენობასთან მიმართებით, აღნიშნული მცირედით ჩამორჩება საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებულ ოპტიმალურ მაჩვენებელს.

ქვეყნის მასშტაბით კალათბურთის და ფეხბურთის მწვრთნელების თანაფარდობა მოთამაშეთა რაოდენობასთან მიმართებით¹⁰



ძირითადი მიგნებები – ფეხბურთი:

- ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი მიზანი საფეხბურთო განათლების შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელებაა,¹¹ რაზეც 2017-2022

9 სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 2014-2020.

10 ფეხბურთის და კალათბურთის მიმართულებების მიხედვით ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებულ მოთამაშეთა ჯამური რაოდენობა შეფარდებულია რეგისტრირებულ მწვრთნელთა ჯამურ რაოდენობასთან.

11 მათ შორის, მწვრთნელთა, მსაჯთა და სხვა პერსონალის ლიცენზირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სათანადო დონეზე მომზადება-გადამზადებისთვის ხელშემწყობი პროგრამები.

წლებში, ჯამში გახარჯულია – 1,026,111 ლარი. ფონდი არ ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროგრამებზე მონაწილეების შერჩევის კრიტერიუმების შესახებ, ასევე არ არის დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამზე აპლიკანტების მიერ დაფიქსირებული შედეგების შესახებ უკუკავშირის მიღების მექანიზმი. 2019-2022 წლებში აპლიკანტების დაფინანსებაზე¹² გახარჯულია 256,800 ლარი. მოცემული აპლიკანტებიდან აღნიშნულ პერიოდში კურსი ვერ გაიარა 11-მა აპლიკანტმა.

ძირითადი მიგნებები – კალათბურთი:

- კალათბურთის მწვრთნელთა ლიცენზირების ფარგლებში არ არის გაწერილი პროგრამის მიგნები და სასწავლო კურსი, რაც პროცესის ეფექტიანად განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამასთანავე, პროგრამა არ ფარავს A კატეგორიის ლიცენზიას;
- შესაბამისი ლიცენზიის მისაღებად გათვალისწინებულ გამოცდაზე, სადაც დადგენილია 60%-იანი მინიმალური ზღვარი, თეორიულ ნაწილში გამოყენებული საგამოცდო ტესტების, დაახლოებით, 80% იდენტურია სასწავლო მასალაში მოცემული ტესტების, რაც ვერ უზრუნველყოფს მონაწილეების ცოდნის რეალურ შეფასებას;
- სალიცენზიო სერტიფიკატის რეგულარულად განახლების საკითხი და ოპტიმალური ვადა არ არის გათვალისწინებული. მოქმედების ვადად განსაზღვრულია 2025 წელი, მიუხედავად იმისა, როდის ჩააბარა აპლიკანტმა აღნიშნული გამოცდა.

ბავშვებში ნიჭის გამოვლენისა და განვითარების სისტემა

მაღალი მიღწევების სპორტის განვითარებისა და საერთაშორისო მასშტაბით წარმატებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ტალანტების მოძიების და განვითარების სისტემა. შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყნის სპორტის პოლიტიკის და სტრატეგიის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ბავშვთა/მოზარდთა ნიჭის განვითარების სისტემის შექმნა და სრულყოფა. სპორტული სახეობის ფედერაციების გარდა, აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სპორტის სამინისტრო, ასევე რეგიონალური და ადგილობრივი თვითმმართველობები. სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში იქმნება სტრატეგია და სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი ნიჭის მქონე ბავშვების იდენტიფიცირებას და მათი სათანადო განვითარების ხელშეწყობას.

სპორტის განვითარების მიმართულებით წარმატებული ქვეყნების მაგალითზე, სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს შორის საყურადღებოა შემდეგი:

• ბავშვთა სპორტის განვითარება და მოზარდების მაღალი ჩართულობა სპორტში	• ქვეყნის მასშტაბით სპორტული წრეების ხელმისაწვდომობა	• კოორდინაცია - ფედერაციებს, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის	• ნიჭის გამოვლენისა და განვითარების სისტემა - სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში
--	--	---	--

¹² იგულისხმება ინდივიდუალური აპლიკანტის სწავლის საფასურის დაფინანსება.



სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანი კომპონენტია ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, სპორტულ ფედერაციებს, ასევე სხვა ჩართულ მხარეებს შორის მჭიდრო კოორდინაცია. ქვეყნის მასშტაბით ბავშვთა სპორტის განვითარების მიმართულებით, სამინისტროს და სპორტული ფედერაციების გარდა ღონისძიებებს ახორციელებენ მუნიციპალიტეტებიც. შესაბამისად, სპორტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სამინისტროსა და მუნიციპალიტეტებს შორის არსებობდეს მჭიდრო კოორდინაცია, მათ შორის, მუნიციპალიტეტების მიერ მოზარდებისთვის შეთავაზებულ სპორტულ სახეობებთან დაკავშირებით, რათა აღნიშნული თანხვედრაში იყოს ქვეყნის პრიორიტეტებთან.

ძირითადი მიგნებები:


- საერთაშორისო პრაქტიკით, მასობრივი სპორტის განვითარებას და ბავშვების/მოზარდების მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფას, სპორტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არამხოლოდ ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის, არამედ როგორც მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ერთ-ერთ საფუძველს, პერსპექტიულ სპორტსმენთა აღმოჩენის თვალსაზრისით. საქართველოში მუნიციპალიტეტების მიერ შეთავაზებულ ფეხბურთისა და კალათბურთის სექციებით მოსარგებლეთა ჩართულობა დაბალია, ამავე მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ 6-18 წლის ბავშვების/მოზარდების რაოდენობასთან მიმართებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული წრეების უმრავლესობა უფასოა და წრეზე რეგისტრაციისთვის ადმინისტრაციული ბარიერები არ არსებობს. ასევე აღსანიშნავია, რომ ბავშვებისა და მოზარდების ჩართულობა ჩამორჩება საერთაშორისო პრაქტიკის მაჩვენებელსაც. გამოკითხვების მიხედვით, დაბალი ჩართულობა შესაძლოა გამოწვეული იყოს მოსახლეობის ინფორმირებულობის ნაკლებობით მუნიციპალიტეტების მიერ შეთავაზებული სპორტული წრეების შესახებ, ხოლო რიგ შემთხვევაში – წრეების ტერიტორიული სიშორით;

მუნიციპალიტეტების მიერ შეთავაზებულ ფეხბურთის და კალათბურთის სექციებზე 6-18-წლამდე ბავშვების/მოზარდების ჩართულობის მაჩვენებელი¹³



¹³ საქართველოს მაჩვენებელი არ მოიცავს კერძო წრეებში ჩართულ ბავშვებს/მოზარდებს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საერთაშორისო პრაქტიკა (მაგალითად, ინგლისის) მოიცავს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის მიერ შეთავაზებულ წრეებში ბავშვების/მოზარდების (გოგონებისა და ბიჭების) ჩართულობას.

მუნიციპალიტეტების მიერ ბავშვებისთვის/მოზარდებისთვის შეთავაზებულ სპორტულ წრეებზე მშობლების გამოკითხვის შედეგები



- სპორტსმენთა ნიჭის განვითარებისა და შესაძლებლობების რეალიზებისთვის მნიშვნელოვანია ათლეტების ნიჭის განვითარების სტრატეგიისა და სისტემის არსებობა, რომელიც ინტეგრირებული იქნება სახელმწიფო პროგრამებში. საქართველოში არ არის შემუშავებული პერსპექტიულ სპორტსმენთა იდენტიფიცირებისა და ნიჭის განვითარების სისტემა, რომელიც სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით უზრუნველყოფს შესაბამისი მახასიათებლების მქონე სპორტსმენის განვითარებას და შესაძლებლობების რეალიზაციას. ნიჭიერ ბავშვთა იდენტიფიცირებას ახორციელებენ შესაბამისი სპორტული ფედერაციები, თუმცა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში აღნიშნული კომპონენტი არ იფარება. კერძოდ, სამინისტროს ჩართულობა ამ მიმართულებით შემოიფარგლება მხოლოდ ინდივიდუალურ სპორტის სახეობებში ნიჭიერ ბავშვთა დაფინანსებით.

გამოვლენილ გარემოებებსა და ნაკლოვანებებზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა შესაბამისი რეკომენდაციები.

ჩაკომენდაცია სამინისტროს

ჩაკომენდაცია N 1

სპორტის ინფრასტრუქტურული პროექტების სათანადოდ დაგეგმვის მიზნით, სამინისტრომ ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ფედერაციებთან და სხვა შესაბამის მხარეებთან თანამშრომლობით დანერგოს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სრული, ზუსტი და განახლებული ინფორმაციის მიღებას მათ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ან/და საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის შესახებ.

ჩაკომენდაცია N 2

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის პროდუქტიულად გამოყენების და ამავდროულად ინფრასტრუქტურაზე კლუბების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სამინისტრომ შესაბამის მხარეებთან კოორდინაციით შეიმუშაოს პოლიტიკა კლუბებისთვის სპორტული ობიექტებით სარგებლობის შესახებ.

ჩაქოქენდასტია ჟახუხუთის ბანკითაჩაბის ჟონდს

ჩაქოქენდასტია N 3

საფეხბურთო ლიგებისთვის თანაბარი მხარდამჭერი მექანიზმების უზრუნველყოფის მიზნით, რეგიონალურ ლიგასთან მიმართებით შეფასდეს საბაზისო დაფინანსების ფარგლებში განსაზღვრული პრიორიტეტების მიზანშეწონილობა.

ჩაქოქენდასტია კადატუხუთის ჟოქნუქ ჟაქაჩასტია

ჩაქოქენდასტია N 4

საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად განკარგვის მიზნით დაინერგოს მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საკალათბურთო კლუბებიდან მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინფორმაციის მიღებას კლუბების მიერ საბაზისო დაფინანსების ფარგლებში მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებით.

ჩაქოქენდასტია ჟახუხუთის ბანკითაჩაბის ჟონდს

ჩაქოქენდასტია N 5

საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად ხარჯვის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების ფარგლებში დაინერგოს მექანიზმები, რომლებიც შესაბამის მხარეებთან კოორდინაციით უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების მონიტორინგს.

ჩაქოქენდასტია კადატუხუთის ჟოქნუქ ჟაქაჩასტია

ჩაქოქენდასტია N 6

მწვრთნელთა ლიცენზირების პროგრამის ეფექტიანად დაგეგმვის, სათანადო კვალიფიკაციის მქონე მწვრთნელების მომზადებისა და საიმედო შეფასების სისტემის დანერგვის მიზნით:

- გაინერგოს ლიცენზირების სასწავლო პროგრამა ეტაპების მიხედვით და განისაზღვროს ლიცენზიის მოქმედების გონივრული ვადა;
- შემუშავდეს A კატეგორიის მწვრთნელთა ლიცენზიის სასწავლო პროგრამა;
- შეფასდეს სასწავლო მასალისა და სასწავლო საათების რელევანტურობა პროგრამის მიზნებთან მიმართებით;
- დაინერგოს სალიცენზიო ტესტირების ეფექტიანი მექანიზმი.



ჩაკომენდაცია საშინისტროს

ჩაკომენდაცია N 7

სამინისტრომ სპორტში ბავშვებისა და მოზარდების ჩართულობის, ასევე მუნიციპალიტეტების მიერ ბავშვებისთვის/მოზარდებისთვის შეთავაზებული სპორტული წრეების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდისა და ეროვნულ დონეზე სპორტის პრიორიტეტული მიმართულებების ხელშეწყობის მიზნით, მოცემული მიმართულებით შეიმუშაოს პოლიტიკა მუნიციპალიტეტებთან და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციისათვის.

ჩაკომენდაცია საშინისტროს

ჩაკომენდაცია N 8

ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლენისა და განვითარების მიზნით, სამინისტრომ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამის სპორტულ ფედერაციებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციით, შეიმუშაოს ბავშვებში/მოზარდებში ნიჭის გამოვლენისა და განვითარების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამისი მახასიათებლების მქონე სპორტსმენის აღმოჩენას, განვითარებასა და შესაძლებლობების რეალიზებას.



1. შესავალი

1.1 აუდიტის მოტივაცია

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020-2030 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში,¹⁴ ეროვნული მნიშვნელობის პრიორიტეტად განსაზღვრულია მასობრივი და მაღალი მიღწევის სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, სამინისტრო მხარს უჭერს და აფინანსებს იმ ფედერაციებს, რომელთა პოლიტიკაც ითვალისწინებს მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის ხელშეწყობასა და ხელმისაწვდომობას.

სპორტის 2014-2020 წლების სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული მიზნებია მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ასევე სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა დადგენა და მათი განვითარების პირობების შექმნა. დოკუმენტის მიხედვით სპორტის განვითარების ძირითად მიმართულებებს შორის აღსანიშნავია სპორტული ინფრასტრუქტურა და სასპორტო განათლება.

აღსანიშნავია, რომ სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტში სტრატეგიული მიზნის ფორმალურ დეკლარირებას არ მოჰყოლია კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება ან სამიზნე ინდიკატორების განსაზღვრა. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტში გაზომვადი ინდიკატორების არარსებობის გამო რთულია შეფასდეს, რამდენად არის სტრატეგიით დასახული მიზანი მიღწეული.¹⁵

ყოველწლიურად სახელმწიფოს მხრიდან სპორტის სფეროს ხელშესაწყობად მიმართულია, საშუალოდ 170 მილიონ ლარამდე,¹⁶ რაც მთლიანი ხარჯის 0,9%-ს შეადგენს და მცირედით აღემატება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს. სპორტზე გაწეული ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით 0,28%-ს შეადგენს, ხოლო ანალოგიური საერთაშორისო გასაშუალოებული მაჩვენებელი – 0,4%-ია.¹⁷

მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების და პოპულარიზაციის პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სპორტული სახეობის მხარდაჭერის მიზნით ყოველწლიურად საშუალოდ 125 233 401¹⁸ ლარი იხარჯება. აღსანიშნავია, რომ მოცემული თანხის 36% მიმართულია შემდეგი ორი სპორტული სახეობის – ფეხბურთის და კალათბურთის განვითარებაზე.

14 კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქმიანობის ანგარიში, 2022 წელი.

15 საქართველოს სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის ანალიზი, 2021 წელი.

16 მონაცემები დათვლილია 2020-2022 წლების მიხედვით.

17 ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი. პროცენტული სხვაობის პირობებში გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული ქვეყნების მიერ გახარჯული თანხა მოიცავს დასვენების სფეროსაც (რეკრეაცია) https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/gov_10a_exp_custom_10977432/default/table?lang=en

18 მონაცემები დათვლილია 2020-2022 წლების მიხედვით.



2019-2020 წლებში საქართველოში ჩატარდა სპორტული ორგანიზაციების მიერ კარგი მმართველობის¹⁹ პრინციპების გამოყენების კვლევა.²⁰ შეფასების მიხედვით, გამოწვევებია და გაუმჯობესებას საჭიროებს სპორტულ ფედერაციებში კარგი მმართველობის პრინციპების გამოყენების კუთხით გატარებული ღონისძიებები.²¹

აღსანიშნავია ასევე, რომ ქვეყნისთვის შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის არსებობა ერთ-ერთი გამოწვევაა. კვლევების მიხედვით:

- ქვეყანაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა არ არის საკმარისი სპორტის ყველა სახეობის განვითარებისათვის. მნიშვნელოვანი გამოწვევაა ობიექტების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა. ქვეყნის ტერიტორიაზე ნაკლებადაა ხელმისაწვდომი სპორტული/საწვრთნელი ბანაკები, საერთაშორისო სტანდარტების სპორტული მოედნები მულტიფუნქციური სპორტული სივრცეები და ა.შ., რომლებითაც ისარგებლებენ როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები და სპორტსმენები;²²
- მოქმედი სპორტული ობიექტების, დაახლოებით, 70% არ აკმაყოფილებს სპორტის შესაბამისი სახეობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ საერთაშორისო ღონისძიებების გამართვისთვის დადგენილ სათანადო სტანდარტებს;²³
- საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება არ ეფუძნება წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ სტრატეგიას ან გეგმას, რომელიც განსაზღვრავს ქვეყანაში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პრინციპებსა და მიდგომებს.²⁴

გემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს არსებულ გამოწვევებზე. მნიშვნელოვანია მოდელის გაუმჯობესება მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების უზრუნველსაყოფად.

1.2. აუდიტის პრობლემა და მთავარი კითხვები

აუდიტის მიზანია შეაფასოს სამინისტროსა და შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურების მიერ მაღალი მიღწევების სპორტის, კერძოდ, ფეხბურთისა და კალათბურთის განვითარების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებებისა და დანერგილი მექანიზმების პროდუქტიულობა და ეფექტიანობა.

აუდიტის კითხვებია:

1. რამდენად უზრუნველყოფს განხორციელებული ღონისძიებები შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას?

19 შეფასება მოიცავდა 4 კომპონენტს: გამჭვირვალობა, დემოკრატიული პროცესები, შიდა ანგარიშგება და კონტროლი, სოციალური პასუხისმგებლობა.

20 საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი, 2020 წელი.

21 საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია „სუსტად“ (26%), ხოლო საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია „საშუალოდ“ (58%) ასრულებს კარგი მმართველობის პრინციპებს.

22 საქართველოს განვითარების სტრატეგია, 2030 წელი, გვ. 81.

23 სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის ანალიზი, 2021 წელი.

24 სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის ანალიზი, 2021 წელი.



2. რამდენად უზრუნველყოფს კალათბურთის და ფეხბურთის კლუბების დაფინანსების არსებული მოდელი რესურსების ეფექტიან და პროდუქტიულ განკარგვას?
3. რამდენად უზრუნველყოფს დანერგილი მექანიზმები ფეხბურთისა და კალათბურთის სფეროში ჩართული ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის ამაღლებას?
4. რამდენად თანხვედრაშია სპორტის მიმართულებით ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტები?
5. რამდენად უწყობს ხელს სამინისტროს მიერ დანერგილი მექანიზმები ბავშვებში სპორტული ნიჭის გამოვლენასა და განვითარებას?

1.3 აუდიტის კრიტერიუმები

მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შეფასებისთვის, აუდიტის პროცედურების ჩატარებისას გამოყენებულია შემდეგი კრიტერიუმები:

- საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
- შესაბამისი უწყებების სტრატეგიები;
- საერთაშორისო პრაქტიკა;
- საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები.

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 2014-2020 – განსაზღვრავს სპორტის განვითარების სტრატეგიას. დოკუმენტის მიხედვით, სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია სპორტის განვითარების აუცილებლობაზე, მოსახლეობაში ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად და მაღალი მიღწევების სპორტისთვის საფუძვლის ჩასაყრელად, ასევე სპორტული ნიჭის მქონე ბავშვების გამოსავლენად.

„სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონი – კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სპორტული საქმიანობის ზოგადსამართლებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს. საქართველოში სპორტი მიჩნეულია უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საქმედ და ხელი ეწყო მის განვითარებას. კანონის მიხედვით, სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია: საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება, მართვის დემოკრატიული ხასიათი, მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა პატივისცემა.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულება – დებულების მიხედვით, სპორტის სფეროში სამინისტროს ამოცანებს განეკუთვნება ერთიანი საჯარო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება/განხორციელების ხელშეწყობა და მონიტორინგი, სპორტის სახეობების პოპულარიზაცია, მასობრივი სპორტისა და მაღალი მიღწევების სპორტის თანაბარი განვითარების ხელშეწყობა, სპორტის სფეროსთვის კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება/განხორციელების ხელშეწყობა და სხვ.



საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №107 დადგენილება „საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2021 წწ.) სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ – დადგენილება განსაზღვრავს ფეხბურთის განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებს და ამოცანებს, აწესრიგებს საქართველოში სპორტული საქმიანობის განხორციელების პირობებს, საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2021 წწ.) სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსების პირობებს და წესს.

ბიზნესპროცესის, გრანტების გაცემის და სუბსიდირების პროცესის აღწერა, 2016-2023 წწ. – აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის განხორციელებას და ბენეფიციარების (საფეხბურთო კლუბები, საფეხბურთო სკოლები, ფეხბურთის რეგიონალური ფედერაციები და სხვ.) დაფინანსებას. კლუბების შესაბამისად, დადგენილი კომპონენტების მიხედვით გათვლილი დაფინანსების უზრუნველყოფას, რომელიც გამოიანგარიშება სამი ძირითადი: საბაზისო, პრემიალური/საპრიზო და სტიმულირების კომპონენტის შესაბამისად; არეგულირებს აღნიშნული თანხების ხარჯვის მონიტორინგის პროცესს.

კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა – პროგრამის მიზანია საქართველოში კალათბურთის შემდგომი განვითარება. ქვეყნის ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების ხარისხიანი მომზადება და მათი წარმატებული მონაწილეობა საერთაშორისო საკალათბურთო შეჯიბრებებში.

კალათბურთის ეროვნული ფედერაციის დებულება – წესდების მიხედვით, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ფუნქციებს განეკუთვნება კალათბურთის წახალისება, განვითარება, ორგანიზება და ხელშეწყობა; მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადების სისტემის ჩამოყალიბება და სრულყოფა; სამწვრთნელო, სამსაჯო და კალათბურთის ადმინისტრირების სტანდარტების ხელშეწყობა/სრულყოფა და სხვ.

ა(ა)იპ – ფეხბურთის განვითარების ფონდის წესდება – წესდების მიხედვით, ფონდის მიზნებს განეკუთვნება კლუბების ფინანსური სტიმულირება, საბაზისო, საპრიზო და პრემიალური დაფინანსება. საქართველოში ფეხბურთის პოპულარიზაციისა და განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებების მხარდაჭერა; საფეხბურთო განათლების (მათ შორის, მწვრთნელთა, მსაჯთა და სხვა პერსონალის ლიცენზირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სათანადო დონეზე მომზადება-გადამზადებისთვის) ხელშეწყობი შესაბამისი პროგრამების შემუშავება, განხორციელება და სხვ.

1.4 აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია

აუდიტის ობიექტებად განისაზღვრა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ა(ა)იპ – საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდი, ა(ა)იპ – საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია. აუდიტის ობიექტად ასევე განისაზღვრა ა(ა)იპ – საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია. აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება ა(ა)იპ – საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული წარმოადგენს აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას.



აუდიტის პერიოდად განისაზღვრა 2018-2022 წლები.²⁵ ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, გამოყენებულია აუდიტის წინა და შემდგომი პერიოდების ინფორმაცია.

აუდიტის საგნად განისაზღვრა მაღალი მიღწევების სპორტის, კერძოდ, ფეხბურთისა და კალათბურთის განვითარების მიზნით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობა და პროდუქტიულობა.

საკითხების შესასწავლად აუდიტის ჯგუფმა გამოიყენა შემდეგი მეთოდები:

- მარეგულირებელი ნორმების შესწავლა და ანალიზი;
- დოკუმენტური ინფორმაციის ანალიზი;
- მონაცემთა ბაზების ანალიზი;
- საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების გაცნობა;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები;
- გამოკითხვები.

აუდიტის კითხვების ფარგლებში საკითხების შესასწავლად განხორციელდა შემდეგი აუდიტორული პროცედურები:

1. რამდენად უზრუნველყოფს განხორციელებული ღონისძიებები შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას ქვეყნის მასშტაბით? – აუდიტის ჯგუფი გაეცნო სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტს, ასევე – შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ ბაზას. 10 ქვეყნის მაგალითზე გააანალიზა საერთაშორისო პრაქტიკა, ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფოების მიერ გატარებული პოლიტიკის შესახებ. შედგა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან. ქვეყნის მასშტაბით არსებული კალათბურთის და ფეხბურთის პროფესიული სპორტული ინფრასტრუქტურის რაოდენობისა და გეოგრაფიული მოცვის ანალიზის მიზნით, 63 მუნიციპალიტეტიდან გამოითხოვა ინფორმაცია აღნიშნული მიმართულებით მათ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის შესახებ, ასევე მუნიციპალიტეტების მიხედვით კალათბურთის და ფეხბურთის მიმართულებებით არსებულ სექციათა და ჩართულ პირთა რაოდენობის შესახებ. მიღებული ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით იდენტიფიცირებულ იქნა ისეთი მუნიციპალიტეტები, სადაც პროფესიული ფეხბურთის და კალათბურთის მიმართულებებით არ არსებობს ინფრასტრუქტურა, თუმცა ფუნქციონირებს სექცია/წრე და შესაბამისად, არის სექციის/წრის მოსარგებლეთა გარკვეული რაოდენობა. გარდა ზემოაღნიშნულისა, რეგიონების მიხედვით 6-18 წლის ასაკის ბავშვების/მოზარდების რაოდენობის იდენტიფიცირებისთვის, აუდიტის ჯგუფმა გამოითხოვა ინფორმაცია 2023-2024 სასწავლო წლისთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა შესახებ და გააანალიზა პოტენციური მომხმარებლების პროპორცია ინფრასტრუქტურასთან მიმართებით. აუდიტის ჯგუფმა რეგიონების მიხედვით გააანალიზა კალათბურთის და ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირებში მონაწილე კლუბებისა და რეგისტრირებულ მოთამაშეთა რაოდენობა, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საერთაშორისო სტანდარტების მქონე ინფრასტრუქტურის დატვირთვა, ინფრასტრუქტურის მოსარგებლეთა კატეგორია და გაეცნო აღნიშნული ობიექტების სარგებლობისთვის დაწესებულ ტარიფებს. სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სპორტულ ინფრასტრუქტურაზე ფეხბურთის და კალათბურთის კლუბების ხელმისაწვდომობისა და აღნიშნული მიმართულებით არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით, აუდიტის

25 ა(ა)იპ – ფეხბურთის განვითარების ფონდის შემთხვევაში, აუდიტის პერიოდად განისაზღვრა 2016-2022 წლები.

ჯგუფმა ჩაატარა 2022-2023 წლის სეზონზე კალათბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირებში მონაწილე კლუბების,²⁶ ასევე 2023 წლის მდგომარეობით ფეხბურთის ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბების გამოკითხვა. კითხვარი ელექტრონულ ფოსტაზე გაეგზავნა – 71 საკალათბურთო²⁷ (ტურნირებში მონაწილე კლუბების 95%) და 64 საფეხბურთო კლუბს (ეროვნულ და რეგიონალურ ლიგებში მოთამაშე კლუბების 100%). გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 41-მა (58%) საკალათბურთო კლუბმა და 51-მა (80%) საფეხბურთო კლუბმა. აღნიშნული გამოკითხვის შედეგები ანგარიშში წარმოდგენილია სტატისტიკის სახით.

2. რამდენად უზრუნველყოფს კალათბურთის და ფეხბურთის კლუბების დაფინანსების არსებული მოდელი რესურსების ეფექტიან და პროდუქტიულ განკარგვას? – აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ფეხბურთის და კალათბურთის კლუბების დაფინანსების არსებული მოდელი, გაეცნო შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ ბაზას და შედგა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან. აუდიტის ჯგუფი გაეცნო დაფინანსების კრიტერიუმებს/განსაზღვრის საფუძვლებს და მონიტორინგის პროცესს. გაეცნო სუპერლიგასა და „ა“ ლიგაში მოთამაშე საკალათბურთო კლუბებისთვის თანხის გადარიცხვის დამადასტურებელ 2019-2022 წლების დოკუმენტაციას (14 კლუბი) და შესაბამის მონაცემთა ბაზას, ასევე გააანალიზა მონაცემთა ბაზები საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსების ფარგლებში საფეხბურთო კლუბების მიერ კომპონენტების მიხედვით ფინანსური რესურსის ხარჯვასთან დაკავშირებით (80 დაფინანსებული საფეხბურთო გუნდის მაგალითზე). ჯგუფი გაეცნო პრემიალური და საპრიზო ფონდის კომპონენტის ფარგლებში საფეხბურთო კლუბებისთვის თანხის გადარიცხვის საფუძვლებს. აუდიტის ჯგუფმა განახორციელა 2016-2022 წლებში ფეხბურთის კლუბებში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობრივი ანალიზი, პოზიციების მიხედვით (მწვრთნელი, ფეხბურთელი, ადმინისტრაციის თანამშრომელი), ასევე საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში გაცემული შრომითი ანაზღაურება.

3. რამდენად უზრუნველყოფს დანერგილი მექანიზმები ფეხბურთისა და კალათბურთის სფეროში ჩართული ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის ამაღლებას? – აუდიტის ჯგუფი გაეცნო ფეხბურთის განვითარების ფონდის და კალათბურთის ფედერაციის მიერ სპორტის მიმართულებით კადრების (მწვრთნელი, მსაჯი და ა.შ.) განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის განხორციელებულ/დაფინანსებულ ღონისძიებებს/პროექტებს, შედგა პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები. ჯგუფი ასევე გაეცნო საერთაშორისო პრაქტიკას. აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა რეგიონების მიხედვით ფეხბურთის და კალათბურთის მიმართულებებით რეგისტრირებულ მოთამაშეთა და მწვრთნელთა განაწილება, ასევე – მოთამაშეთა თანაფარდობა მწვრთნელთა რაოდენობასთან მიმართებით. აუდიტის ჯგუფი გაეცნო 2017-2022 წლებში ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში შესაბამის ფედერაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, ასევე ინდივიდუალურად დაფინანსებული აპლიკანტების მონაცემთა ბაზას და ინფორმაციას მათ მიერ გამოცდებზე ნაჩვენები შედეგების შესახებ. კალათბურთის მიმართულებით აუდიტის ჯგუფი გაეცნო მწვრთნელთა ლიცენზირების პროგრამის ბიზნესპროცესს, ასევე სასწავლო კურსზე მონაწილეობის მისაღებად აპლიკანტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა მონაცემთა ბაზები მწვრთნელთა ლიცენზირების პროგრამის ბენეფიციარების შესახებ.

4. რამდენად თანხვედრაშია სპორტის მიმართულებით ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტები?

26 არ მოიცავს JR.NBA ტურნირში მონაწილე კლუბებს.

27 სულ ტურნირში მონაწილეობდა 75 კლუბი, 4 კლუბთან არ გაიგზავნა კითხვარი, საკონტაქტო ინფორმაციის არქონის გამო.



აუდიტის ჯგუფი გაეცნო სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტს, ასევე სამინისტროს დებულებასა და საქმიანობის ანგარიშებს, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების პროგრამას, 2019-2022 წლებში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ სპორტულ სახეობებს და დაფინანსების მოცულობას, ასევე საერთაშორისო პრაქტიკას. აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა რეგიონების მიხედვით ფეხბურთის და კალათბურთის სექციების/წრეების მოსარგებლეთა რაოდენობა და 6-18 წლის ასაკის ბავშვების/ მოზარდების ჩართულობა. აუდიტის ჯგუფმა 63 მუნიციპალიტეტის მაგალითზე გააანალიზა მათ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი სპორტული სექციების შესახებ ინფორმაცია და იდენტიფიცირებულ იქნა ისეთი მუნიციპალიტეტები, სადაც კალათბურთის და ფეხბურთის მიმართულებებით არ ფუნქციონირებს სექცია/წრე. ამასთანავე, პოტენციური მოთხოვნის შეფასების მიზნით, აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში 6-18 წლის ასაკის ბავშვების/ მოზარდების რაოდენობა. აუდიტის ჯგუფმა ასევე მოიპოვა ინფორმაცია მუნიციპალიტეტების მიერ კალათბურთის და ფეხბურთის მიმართულებებით ბავშვებისთვის/ მოზარდებისთვის შეთავაზებულ წრეებზე სწავლების საფასურის შესახებ²⁸ და 22 მუნიციპალიტეტის მაგალითზე გაეცნო სპორტულ წრეებზე რეგისტრაციასთან დაკავშირებით არსებულ პროცედურებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტების მიერ ბავშვებისთვის/ მოზარდებისთვის შეთავაზებულ სპორტულ წრეებზე მშობლების ინფორმირებულობის შეფასების მიზნით, ჩაატარა სკოლის მოსაწავლეების მშობლების სატელეფონო გამოკითხვა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 185-მა მშობელმა, საქართველოს 10 რეგიონში. გამოკითხვის შედეგები ანგარიშში წარმოდგენილია სტატისტიკის სახით.

5. რამდენად უწყობს ხელს სამინისტროს მიერ დანერგილი მექანიზმები ბავშვებში სპორტული ნიჭის გამოვლენასა და განვითარებას? – აუდიტის ჯგუფი გაეცნო სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტს, ასევე სამინისტროს დებულებასა და საქმიანობის ანგარიშებს, შედგა პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები. აუდიტის ჯგუფი სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე გაეცნო მაღალი მიღწევების სპორტის პოლიტიკას, სტრატეგიის მიზნებს და განხორციელებულ პროგრამებს, ასევე კვლევებს მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების მიმართულებით წარმატების განმსაზღვრელი კომპონენტების შესახებ. აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა სამინისტროს ღონეზე ფეხბურთის და კალათბურთის მიმართულებებით ნიჭიერ ბავშვთა იდენტიფიცირებისა და განვითარებისთვის არსებული მხარდამჭერი მექანიზმები და აღნიშნული მიმართულებით შესაბამისი ფედერაციის მიერ განხორციელებული ღონისძიებები.

28 კალათბურთის შემთხვევაში – 42, ხოლო ფეხბურთის შემთხვევაში – 44 მუნიციპალიტეტის მაგალითზე.




2. ზოგადი ინფორმაცია

2.1 სწავლის აღწერა

სამინისტრო კულტურისა და სპორტის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანოა. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტრო ახორციელებს თავის დაქვემდებარებაში არსებული ყოველი რგოლისა და ორგანიზაციის საქმიანობის კოორდინაციას და კონტროლს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.²⁹ სპორტის განვითარების და პოპულარიზაციის მიზნით, სამინისტრო შესაბამის ეროვნულ სპორტულ ფედერაციებთან თანამშრომლობით ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებას.

სპორტის პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანია მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება, რომლის ხელშეწყობი ძირითადი მიმართულებები მოცემულია გრაფიკში №2.1.1:³⁰

გრაფიკი №2.1.1 მაღალი მიღწევების სპორტის განვითარებისთვის ხელშეწყობი ძირითადი მიმართულებები



სამინისტრო მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების მიზნით ახორციელებს სახელმწიფო პროგრამას – „მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია“.

მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების მიმართულებით პროგრამის მიზნებია:

- საქართველოში სპორტის განვითარებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების მომზადება და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში³¹ მონაწილეობა; მათი მომზადების ეტაპზე სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების მოწყობა, საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარება;

29 საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მაისის დადგენილება „საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“, თავი 2, მუხლი 2.

30 სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 2014-2020.

31 მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, საერთაშორისო ტურნირები და სხვ.

- სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და სპორტის ეროვნული სახეობების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ფეხბურთის განვითარებისთვის საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილე კლუბების დაფინანსება და სხვ.

ფეხბურთის და კალათბურთის განვითარების მიმართულებით აღნიშნული პროგრამა მოიცავს ქვეპროგრამებს, რომელთაც სამინისტრო ახორციელებდა/ახორციელებს შესაბამის სპორტულ ფედერაციებთან³² თანამშრომლობით და ა(ა)იპ – ფეხბურთის განვითარების ფონდის მეშვეობით. ესენია:

- ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა;³³
- კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა.

ა(ა)იპ – ფეხბურთის განვითარების ფონდი უზრუნველყოფს საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის განხორციელებას, რომლის მიზანია ქვეყნის მასშტაბით ფეხბურთის განვითარება და პოპულარიზაცია.

ა(ა)იპ – ფეხბურთის ფედერაცია სხვა მიზნებთან ერთად უზრუნველყოფს: ფეხბურთის თამაშის მუდმივად განვითარებას, ხელშეწყობას, რეგულირებასა და კონტროლს; საქართველოს ტერიტორიაზე გამართული ყველა ოფიციალური და ამხანაგური საფეხბურთო მატჩების კონტროლსა და ზედამხედველობას; საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობას; საქართველოს ნაკრები გუნდების ფორმირებასა და მომზადებას.³⁴

ა(ა)იპ – კალათბურთის ფედერაცია ახორციელებს კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამას, რომლის მიზანია საქართველოში კალათბურთის შემდგომი განვითარება; ქვეყნის ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების ხარისხიანი მომზადება და მათი წარმატებული მონაწილეობა საერთაშორისო საკალათბურთო შეჯიბრებებში.

ცხრილი №2.1.1 2018-2022 წლებში ფეხბურთის და კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ბიუჯეტი (ფაქტი) (ლარი)

მიმართულება	2018	2019	2020	2021	2022	ჯამი:
ფეხბურთი – ა(ა)იპ ფეხბურთის განვითარების ფონდი	36 847 275	37 004 351	22 568 160	36 976 808	37 039 392	170 435 986
ფეხბურთი – ა(ა)იპ -ფეხბურთის ფედერაცია	6 199 874	6 394 616	4 079 415	-	-	16 673 905
კალათბურთი – ა(ა)იპ -კალათბურთის ფედერაცია	9 999 310	9 999 613	10 649 999	9 884 773	10 389 684	50 923 379
ჯამი:	53 046 459	53 398 580	37 297 574	46 861 581	47 429 076	

32 ფეხბურთის განვითარების მიმართულებით პროგრამას ახორციელებს ა(ა)იპ – ფეხბურთის განვითარების ფონდი.

33 აღნიშნული პროგრამა აღარ ხორციელდება 2021 წლიდან.

34 საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდება, მუხლი 2, 2.1, 2.6, 2.8 და 2.9 პუნქტები (2023 წლის რედაქცია).

2.2 სპორტული ინფრასტრუქტურა

სპორტული ინფრასტრუქტურა სპორტის სისტემის მატერიალური ბაზაა, რომლის შექმნისა და განვითარების გარეშე შეუძლებელი იქნება სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების განხორციელება. მაღალი მიღწევების სპორტის განვითარებისთვის ხელშემწყობი ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა შესაბამისი სტანდარტების სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა.³⁵ საქართველოში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის დაფინანსება გამოიყოფა რამდენიმე ძირითადი წყაროდან.

ინფოგრაფიკი №2.2.1 სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის დაფინანსების ძირითადი წყაროები



2.3. ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა

ა(ა)იპ – ფეხბურთის განვითარების ფონდი 2016 წლიდან უზრუნველყოფს ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის განხორციელებასა და პროგრამის ბენეფიციარების – საფეხბურთო კლუბების, აკადემიების და სხვების დაფინანსებას.

პროგრამის მიზნები და ამოცანები:³⁶

- საფეხბურთო კლუბების ფინანსური სტიმულირება, საბაზისო, საპრიზო და პრემიალური დაფინანსება;
- საქართველოში ფეხბურთის პოპულარიზაციისა და განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებების მხარდაჭერა;
- ფეხბურთის განვითარების მიზნობრივი პროექტების რეალიზაცია;
- საფეხბურთო განათლების³⁷ ხელშემწყობი შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელება და სხვ.

პროგრამის მიზნებისა და ამოცანების განხორციელების მიზნით, 2016-2022 წლებში დაფინანსებისათვის გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 233,122,958 ლარი.

35 სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 2014-2020.

36 საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №107 დადგენილება „საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2021 წწ.) სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

37 მათ შორის, მწვრთნელთა, მსაჯთა და სხვა პერსონალის ლიცენზირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სათანადო დონეზე მომზადება-გადამზადებისთვის.



ცხრილი № 2.3.1 პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსება 2016-2022 წლებში

პროგრამები	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
კლუბების საბაზისო დაფინანსება	25,464,784	23,845,535	20,853,467	18,847,000	17,934,160	17,924,403	19,554,000
კლუბების ფინანსური სტიმულირება	1,900,000	3,316,337	7,644,000	7,561,000	3,222,000	9,326,222	10,205,705
კლუბების საპრიზო და პრემიალური ფონდი	750,000	6,193,100	5,956,000	7,561,200	602,000	6,733,000	3,917,400
მასობრივი სახის სა-ფეხბურთო ღონისძიებები და საფეხბურთო განათლების ხელშეწყობი პროგრამები	10,935	1,206,281	2,393,808	3,035,151	810,000	2,993,183	3,362,287
ხარჯების ჯამი წლების მიხედვით	28,125,719	34,561,253	36,847,275	37,004,351	22,568,160	36,976,808	37,039,392

2.4. კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ძირითადი მიზნებია საქართველოში კალათბურთის განვითარება, მაღალკვალიფიციურ სპორტსმენტა მომზადების სისტემის ჩამოყალიბება/სრულყოფა და საკალათბურთო მატჩების ორგანიზება. ფედერაცია ახორციელებს კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის ქვეპროგრამას, რომელიც მოიცავს ყველა იმ ძირითად მიმართულებას, რაც უზრუნველყოფს კალათბურთის ეტაპობრივ განვითარებას. ქვეპროგრამის მიზანია საქართველოში კალათბურთის შემდგომი განვითარება; ქვეყნის ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების ხარისხიანი მომზადება და მათი წარმატებული მონაწილეობა საერთაშორისო საკალათბურთო შეჯიბრებებში.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია საკალათბურთო კლუბების დაფინანსება.

დაფინანსებას იღებს სუპერლიგის – 8³⁸ და „ა“ ლიგის 6 კლუბი. დაფინანსების მიზანია საკალათბურთო კლუბების ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების უზრუნველყოფა. დაფინანსების ოდენობა ყოველი შემდეგი სეზონის განმავლობაში განისაზღვრება ფედერაციის გამგეობის მიერ გამოყოფილი ფინანსური რესურსის ფარგლებში. კლუბები ფინანსდებიან ასევე საპრიზო ფონდით, რომელიც გაიცემა თასის გამარჯვებულზე, ფინალისტებზე, ნახევარფინალისტსა და სუპერლიგის ჩემპიონზე.

ცხრილი № 2.4.1 2018-2022 წლების მონაცემებით სუპერლიგისა და „ა“ ლიგის კლუბების საბაზისო დაფინანსების ოდენობა და სუპერლიგის საპრიზო ფონდი

ლიგა	2018	2019	2020	2021	2022
სუპერლიგა	2 940 000	3 510 000	3 600 000	3 600 000	3 600 000
სუპერლიგის კლუბების საპრიზო ფონდი	250 000	310 000	0 ³⁹	310 000	310 000
„ა“ ლიგა	360 000	360 000	360 000	420 000	420 000

38 2019-2020 წლების სეზონიდან სუპერლიგაში აღარ ფინანსდება სამი მუნიციპალურ დაფინანსებაზე მყოფი კლუბი: ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი.

39 2020 წელს ქვეყანაში არსებული COVID-19-ის პანდემიიდან გამომდინარე, საპრიზო დაფინანსება არ გაცემულა.



3. სახადმნიშვნელო სპორტული ინფრასტრუქტურის ხადმისაწვდომობა

3.1 სახადმნიშვნელო ინფრასტრუქტურის გეოგრაფიული ხადმისაწვდომობა

სპორტული ინფრასტრუქტურა სპორტის სისტემის მატერიალური ბაზაა, რომლის შექმნისა და განვითარების გარეშე შეუძლებელი იქნება სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების განხორციელება.⁴⁰

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია, სადაც მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება.⁴¹ 2018-2021 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში სპორტული ინფრასტრუქტურის მართვის ეფექტიანი მოდელის შექმნა სპორტის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება სხვა ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყანაში შესაბამისი სავარჯიშო/საშეჯიბრო სპორტული ინფრასტრუქტურის არსებობაზე.

ცხრილი №3.1.1 2023 წლის მდგომარეობით, კალათბურთის და ფეხბურთის მიმართულებებით ქვეყნის მასშტაბით⁴² არსებული პროფესიული სახელმწიფო ინფრასტრუქტურა და რეგიონების მიხედვით მათი განაწილება, ასევე რეგიონებში მცხოვრები 6-18 წლის ასაკის ბავშვების/ მოზარდების რაოდენობა და თანაფარდობა ინფრასტრუქტურასთან მიმართებით

რეგიონი	კალათბურთის დარბაზების რაოდენობა	ფეხბურთის მოედნების რაოდენობა	6-18 წლის ასაკის ბავშვების/ მოზარდების რაოდენობა
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3	6	2,871
მცხეთა-მთიანეთი	6	12	12,847
გურია	2	8	14,286
სამცხე-ჯავახეთი	2	8	24,222
შიდა ქართლი	4	10	39,391
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4	20	45,338
კახეთი	8	11	45,700
აჭარა	5	11	68,155
ქვემო ქართლი	1	11	74,538
იმერეთი	11	32	80,910

40 სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 2014-2020.

41 სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 2014-2020.

42 არ მოიცავს თბილისის რეგიონს, აღნიშნული მიმართულებით ინფრასტრუქტურა განხილულია 3.2 ქვეთავში.

აუდიტის ჯგუფის მიერ მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის მიხედვით, 6-18 წლის ასაკის მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებით რეგიონების მიხედვით ინფრასტრუქტურა არათანაბრადაა განაწილებული:

კალათბურთის მიმართულებით:

ქვეყნის მასშტაბით სულ ფუნქციონირებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 46 კალათბურთის დარბაზი. აღსანიშნავია, რომ დარბაზების 78% გამოიყენება სავარჯიშოდ და ტურნირების სამასპინძლოდ, ხოლო 22% – მხოლოდ სავარჯიშოდ. რეგიონების მიხედვით დარბაზების რაოდენობრივი მაჩვენებლისა და 6-18 წლის ასაკის ბავშვების/მოზარდების საშუალო პროპორციის გათვალისწინებით, დარბაზების რაოდენობის მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა იმერეთისა და კახეთის რეგიონებში, ხოლო პირიქით – სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში.

ფეხბურთის მიმართულებით:

ქვეყნის მასშტაბით სულ ფუნქციონირებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 129 ფეხბურთის მოედანი. აღნიშნული მოედნების 77% გამოიყენება სავარჯიშოდ და ტურნირების სამასპინძლოდ, 14% – მხოლოდ სავარჯიშოდ, ხოლო 9% – მხოლოდ ტურნირების სამასპინძლოდ. რეგიონების მიხედვით მოედნების რაოდენობრივი მაჩვენებლისა და 6-18 წლის ასაკის ბავშვების/მოზარდების საშუალო პროპორციის გათვალისწინებით, მოედნების რაოდენობის მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სამეგრელო-ზემო სვანეთში, გურიაში და იმერეთში, ხოლო პირიქით – ქვემო ქართლისა და აჭარის რეგიონებში.

აღსანიშნავია ასევე, რომ ქვეყნის მასშტაბით, კალათბურთის პროფესიულ სპორტულ ინფრასტრუქტურულ ბაზას და კალათბურთის სექციის მოსარგებლეთა რაოდენობას შემდეგი სახე აქვს:

ცხრილი №3.1.2 2023 წლის მდგომარეობით რეგიონების მიხედვით კალათბურთის პროფესიული სპორტული ინფრასტრუქტურის განაწილება და კალათბურთის სექციის მოსარგებლეთა რაოდენობა⁴³

რეგიონი	ობიექტების რაოდენობა	კალათბურთის სექციის მოსარგებლეთა რაოდენობა
მცხეთა-მთიანეთი	5	89
სამცხე-ჯავახეთი	2	96
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3	113
აჭარა	4	145
გურია	2	236
კახეთი	6	460
ქვემო ქართლი	1	579
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4	613
შიდა ქართლი	3	778
იმერეთი	10	851
ჯამი:	40	3960

43 მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი სპორტული კომპლექსის სექციის მოსარგებლეთა რაოდენობა.

აუდიტის ჯგუფის მიერ მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის მიხედვით, 2023 წლის მდგომარეობით 35 მუნიციპალიტეტში (57%) პროფესიული კალათბურთის მიმართულებით ფუნქციონირებს 40 სპორტული ობიექტი (46 დარბაზი), ხოლო 28 მუნიციპალიტეტში (43%) აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფო ინფრასტრუქტურა არ არსებობს, რაც მიუთითებს ინფრასტრუქტურის გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა ინფორმაცია ზემოთ მითითებული მუნიციპალიტეტების მიერ ბავშვებისთვის/მოზარდებისთვის შეთავაზებული სპორტული სახეობების შესახებ, ასევე – კალათბურთის მიმართულებით სექციის მოსარგებლეთა რაოდენობა. რიგ შემთხვევებში აღნიშნული მუნიციპალიტეტების მასშტაბით არსებობს კალათბურთის მიმართულებით სექცია/წრე, თუმცა შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, სექციის მოსარგებლეები ვარჯიშობენ არასტანდარტული ტიპის მოედანზე, როგორებიცაა, მაგალითად: კერძო/საჯარო სკოლის დარბაზი, ღია სივრცეში მასობრივი სპორტის განვითარებისთვის არსებული მინი-მოედანი და სხვ.

ცხრილი №3.1.3 რეგიონების მიხედვით მუნიციპალიტეტების პროცენტული რაოდენობა, სადაც არ არსებობს პროფესიული კალათბურთის მიმართულებით ინფრასტრუქტურა და ფუნქციონირებს სექცია/წრე, სექციის მოსარგებლეთა რაოდენობის გათვალისწინებით

რეგიონი	მუნიციპალიტეტების რაოდენობა – არ არსებობს ინფრასტრუქტურა და ფუნქციონირებს სექცია	მუნიციპალიტეტების %	სექციის მოსარგებლეთა რაოდენობა
აჭარა	3	50%	73
ქვემო ქართლი	4	43%	179
გურია	1	33%	27
იმერეთი	3	25%	147
კახეთი	2	25%	85
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2	22%	68

კერძოდ, 28 ისეთი მუნიციპალიტეტიდან, სადაც კალათბურთის მიმართულებით არ არის წარმოდგენილი პროფესიული ინფრასტრუქტურა, 15 მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კალათბურთის სექცია, რაც მიუთითებს აღნიშნული სპორტის სახეობის მოთხოვნის არსებობაზე. აღსანიშნავია, რომ მოცემულ სექციებზე 2023 წლის მდგომარეობით, ჯამში რეგისტრირებულია – 579 ბავშვი/მოზარდი, მუნიციპალიტეტების მასშტაბით არსებული სექციებით მოსარგებლეთა 15%.

ინფრასტრუქტურის მიმართულებით არსებული გამოწვევები დასტურდება პროფესიული საკალათბურთო კლუბების გამოკითხვის შედეგებითაც. კერძოდ, 21 კლუბის მიერ დაფიქსირებული პასუხებიდან 11 კლუბისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა საკალათბურთო დარბაზების ნაკლებობა და მათი არსებულ სტანდარტთან შესაბამისობა.

რაც შეეხება პროფესიულ სპორტულ ინფრასტრუქტურას ფეხბურთის მიმართულებით:



ცხრილი №3.1.4 2023 წლის მდგომარეობით რეგიონების მიხედვით ფეხბურთის პროფესიული სპორტული ინფრასტრუქტურის განაწილება⁴⁴ და ფეხბურთის სექციის მოსარგებლეთა⁴⁵ რაოდენობა

რეგიონი	ფეხბურთის ინფრასტრუქტურა	სექციის მოსარგებლეთა რაოდენობა
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	6	342
სამცხე-ჯავახეთი	7	475
აჭარა	10	539
მცხეთა-მთიანეთი	9	581
გურია	7	612
ქვემო ქართლი	10	1171
შიდა ქართლი	8	1572
იმერეთი	27	1683
სამეგრელო-ზემო სვანეთი	10	1698
კახეთი	8	2058
ჯამი:	102	10731

სპორტული ინფრასტრუქტურის გეოგრაფიული დაფარვის კუთხით, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ფეხბურთის მიმართულებით. კერძოდ, 2023 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 58 მუნიციპალიტეტში პროფესიული ფეხბურთის მიმართულებით ფუნქციონირებს 102 სპორტული ობიექტი (129 ფეხბურთის მოედანი), თუმცა მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მუნიციპალიტეტების მიხედვით იკვეთება შემთხვევები, როდესაც სექციის ბენეფიციარები ვარჯიშობენ მასობრივი სპორტის განვითარებისთვის განკუთვნილ მინი-მოედნებზე.⁴⁶ აღსანიშნავია, რომ 5 მუნიციპალიტეტში პროფესიული ფეხბურთის მიმართულებით ინფრასტრუქტურა⁴⁷ არ არსებობს, თუმცა რიგ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფუნქციონირებს სექცია/წრე, რომლითაც მოსარგებლეთა ჯამური რაოდენობა შეადგენს 471-ს⁴⁸ – მუნიციპალიტეტების მასშტაბით არსებულ სექციის მოსარგებლეთა 4%.

ცხრილი №3.1.5 რეგიონების მიხედვით მუნიციპალიტეტების პროცენტული რაოდენობა, სადაც არ არსებობს პროფესიული ფეხბურთის მიმართულებით ინფრასტრუქტურა და ფუნქციონირებს სექცია/წრე, სექციის მოსარგებლეთა რაოდენობის გათვალისწინებით

რეგიონი	მუნიციპალიტეტების რაოდენობა – არ არსებობს ინფრასტრუქტურა და ფუნქციონირებს სექცია	მუნიციპალიტეტების %	სექციის მოსარგებლეთა რაოდენობა
კახეთი	2	25%	423
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1	11%	48

44 მოიცავს სახელმწიფო/მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ინფრასტრუქტურას.

45 მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი სპორტული კომპლექსის სექციის მოსარგებლეთა რაოდენობა.

46 აღნიშნული შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორც ინფრასტრუქტურის არასაკმარისი რაოდენობით ან/და სტანდარტთან შეუსაბამობით, ასევე ინფრასტრუქტურის ადგილმდებარეობით.

47 სახელმწიფო/მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული პროფესიული სავარჯიშო/სამეჯობრო ინფრასტრუქტურა.

48 სექციის მოსარგებლეების მიერ, ძირითადად, სავარჯიშოდ გამოიყენება მინი-სპორტული მოედნები, რომლებიც განკუთვნილია მასობრივი სპორტის განვითარებისთვის.

აღსანიშნავია ასევე, რომ აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, 51 გამოკითხული ფეხბურთის პროფესიული კლუბიდან 29 კლუბმა დააფიქსირა მოსაზრება სპორტული ინფრასტრუქტურის მიმართულებით არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით. კლუბების ძირითადმა ნაწილმა – 19-მა კლუბმა დაასახელა ინფრასტრუქტურის სტანდარტებთან შეუსაბამობა, 9 კლუბმა – ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, ხოლო 1 კლუბისთვის სპორტულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით გამოწვევა არ არსებობს. ასევე რეგიონის მასშტაბით გამოკითხული 28 საფეხბურთო კლუბის მიხედვით, გეოგრაფიულად სახელმწიფო ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია – 19, ხოლო მეტ-ნაკლებად ან ნაკლებად ხელმისაწვდომია – 9 კლუბისთვის.

სპორტის სფეროში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და განხორციელების ხელშეწყობა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ერთ-ერთი კომპეტენციაა.⁴⁹ ამასთანავე, საქართველოში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის დაფინანსება გამოიყოფა რამდენიმე ძირითადი წყაროდან, რომელთა შორისაა: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, სამინისტრო და მისი დაქვემდებარებული უწყებები, მუნიციპალიტეტები.

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია, ქვეყანაში არსებობდეს ერთიანი სტატისტიკური ინფორმაცია ქვეყნის მასშტაბით არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის სახეობის, გეოგრაფიული მოცვის, მდგომარეობისა და რაოდენობის შესახებ. აუდიტის პერიოდისათვის არ იყო შემუშავებული ინფრასტრუქტურის მართვის და განვითარების ერთიანი სტრატეგია ეროვნულ დონეზე, ასევე სამინისტრო არ ფლობს სტატისტიკურ ინფორმაციას კალათბურთის და ფეხბურთის მიმართულებებით, ქვეყნის მასშტაბით არსებული სპორტული ობიექტების შესახებ, რაც ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისას საჭიროებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს. აღნიშნულის ერთ-ერთი გამოწვევა მიზეზია კოორდინაციის არარსებობა სამინისტროს, მუნიციპალიტეტებსა და სხვა შესაბამის მხარეებს შორის, მათ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის შესახებ. ამასთანავე, არ არის დანერგილი მექანიზმი, რომელიც პერიოდულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტებიდან ინფორმაციის მიღებას მათ ტერიტორიაზე არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის სახეობის, რაოდენობისა და მდგომარეობის შესახებ.

3.2. ფეხბურთის და კალათბურთის კლუბებისთვის სახელმწიფო სპორტული ინფრასტრუქტურის ფინანსური ხელმისაწვდომობა

მაღალი მიღწევების სპორტის განვითარებისთვის ხელშეწყობი ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, მისი მოვლა-პატრონობის ხარჯების დაფინანსებაა/თანადაფინანსებაა. მაღალი მიღწევების სპორტის ერთ-ერთი ძირითადი სტრუქტურული ერთეულია სპორტული კლუბები.⁵⁰

49 საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მაისის დადგენილება „საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“, თავი 2, მუხლი 2, პუნქტი 3, „ი“ ქვეპუნქტი.

50 სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 2014-2020, გვ. 15-16.



ცხრილი №3.2.1 2022-2023 წლის სეზონზე კალათბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირებში მონაწილე კლუბების⁵¹ და რეგისტრირებულ მოთამაშეთა რაოდენობა, ასევე ფეხბურთის ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბებისა და რეგისტრირებულ მოთამაშეთა⁵² რაოდენობა⁵³

რეგიონი	საკალათბურთო კლუბების რაოდენობა	რეგისტრირებულ მოთამაშეთა რაოდენობა	საფეხბურთო კლუბების რაოდენობა	რეგისტრირებულ მოთამაშეთა რაოდენობა
აჭარა	4	202	6	835
გურია	1	48	4	352
თბილისი	51	3 548	22	5 764
იმერეთი	8	426	12	2 504
კახეთი	4	190	2	546
მცხეთა-მთიანეთი	0	0	1	105
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	1	16	0	95
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2	80	9	1 883
სამცხე-ჯავახეთი	1	32	1	152
ქვემო ქართლი	10	512	6	821
შიდა ქართლი	5	300	5	875
სულ:	87	5 354	68	13 932

2023 წლის მდგომარეობით კალათბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირებში მონაწილე კლუბების 59% (51 კლუბი) თბილისში ფუნქციონირებს, ხოლო 41% (46 კლუბი) – სხვადასხვა რეგიონში.⁵⁴ ასევე თბილისში ფუნქციონირებს ფეხბურთის ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბების უმეტესი რაოდენობა – 32% (22 კლუბი).

ფეხბურთის და კალათბურთის პროფესიული სპორტული კლუბების წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა ქვეყნის მასშტაბით შესაბამისი სავარჯიშო/საშეჯიბრო ინფრასტრუქტურის არსებობა, ასევე ინფრასტრუქტურაზე გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა. სპორტულ ინფრასტრუქტურას ქვეყნის მასშტაბით ფლობს როგორც სახელმწიფო, ასევე – კერძო სექტორი.

51 როგორც კალათბურთის, ასევე ფეხბურთის შემთხვევაში, ერთი კლუბიდან შესაძლებელია ტურნირში მონაწილეობას იღებდეს რამდენიმე გუნდი, სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში/ლიგაში.

52 ფეხბურთზე რეგისტრირებულ მოთამაშეთა რაოდენობა მოცემულია 2021 წლის მდგომარეობით.

53 აღსანიშნავია, რომ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია მხოლოდ ფეხბურთის და კალათბურთის ფედერაციების მიერ ორგანიზებულ ტურნირებში მონაწილე კლუბების შესახებ, არ მოიცავს იმ კლუბებს/სპორტულ სკოლებს, რომელთაც არ მიუღიათ აღნიშნულ ტურნირებში/ჩემპიონატებში მონაწილეობა. ამასთანავე, ფეხბურთის კლუბების შემთხვევაში ინფორმაცია მოცემულია იმ კლუბებისა და შესაბამისად, რეგისტრირებული მოთამაშეების შესახებ, რომელთა დაფინანსებასაც ახორციელებს ფეხბურთის განვითარების ფონდი.

54 მათ შორის, სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე მეტი კლუბი ჰყავს ქვემო ქართლის, იმერეთის, შიდა ქართლის და აჭარის რეგიონებს.

ცხრილი №3.2.2 ინფორმაცია ფეხბურთის და კალათბურთის მიმართულებებით ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფოს⁵⁵ საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ

აშენების წელი	რეგიონი	ობიექტის დასახელება	დარბაზების /მოედნების რაოდენობა	ტიპი	მიზნობრიობა
2018	თბილისი	ღია მოედნები	7	სანვრთნელი	ვარჯიში, ჩემპიონატების მასპინძლობა და სხვ.
2018-2022	თბილისი	სპორტული კომპლექსი – „თბილისი არენა“ (შემდეგ – თბილისი არენა)	1	მულტიფუნქციური დარბაზი	ვარჯიში, ჩემპიონატების მასპინძლობა და სხვ.
2015	თბილისი	ოლიმპიური სასახლე	2	მულტიფუნქციური დარბაზი	ვარჯიში, ჩემპიონატების მასპინძლობა და სხვ.
2017	შიდა ქართლი	გორის სპორტის სასახლე	2	მულტიფუნქციური დარბაზი	ვარჯიში, ჩემპიონატების მასპინძლობა და სხვ.
2017	კახეთი	თელავის სპორტის სასახლე	2	მულტიფუნქციური დარბაზი	ვარჯიში, ჩემპიონატების მასპინძლობა და სხვ.
2017	აჭარა	ბათუმის სპორტის სასახლე	2	მულტიფუნქციური დარბაზი	ვარჯიში, ჩემპიონატების მასპინძლობა და სხვ.

საერთაშორისო პრაქტიკით, სპორტული კლუბები სახელმწიფოსგან ფინანსური მხარდაჭერის გარდა იღებენ არაპირდაპირ მხარდაჭერას.⁵⁶ არაპირდაპირი მხარდაჭერის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სპორტულ ობიექტებზე ხელმისაწვდომობა, რომლებიც რიგ ქვეყნებში ხელმისაწვდომია უფასოდ ან შეღავათიანი ტარიფით.

ცხრილი №3.2.3 სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურით სარგებლობასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყანაში არსებული პრაქტიკა

ქვეყანა	ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია უფასოდ ან ძალიან დაბალ ფასად	ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია შეღავათიანი ტარიფით
 დანია	✓	
 გერმანია	✓	
 უნგრეთი	✓	
 ნორვეგია	✓	
 პოლონეთი	✓	
 შვეიცარია		✓
 ინგლისი		✓
 ესპანეთი		✓

აუდიტის ჯგუფმა სპორტულ ობიექტებზე ხელმისაწვდომობის მიზნით გააანალიზა ფეხბურთისა და კალათბურთის მიმართულებებით სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საერთაშორისო

55 ცხრილი არ მოიცავს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ინფრასტრუქტურას. ინფრასტრუქტურას მართავს სამინისტროს სისტემაში შემავალი შპს „სპორტმშენსერვისი“.


56 9 ქვეყნის მაგალითი: დანია, ინგლისი, გერმანია, უნგრეთი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, ესპანეთი, შვეიცარია.




სტანდარტების მეორე ინფრასტრუქტურის⁵⁷ სარგებლობისთვის დაწესებული ტარიფები⁵⁸ და მათი დატვირთვა.⁵⁹ აღსანიშნავია, რომ ობიექტებზე დაწესებული ტარიფი ბაზარზე არსებული მსგავსი ობიექტების საბაზრო ღირებულების შესაბამისია, ხოლო აღნიშნული ობიექტების საშუალო დატვირთვა⁶⁰ რიგ შემთხვევაში, დაბალია. დიაგრამაზე წარმოდგენილია 2022-2023 წლებში თელავის და გორის სპორტის სასახლეების, ასევე თბილისში მდებარე ოლიმპიური სასახლის, თბილისი არენასა და ბათუმის სპორტის სასახლის დატვირთვა.

ინფოგრაფიკი № 3.2.1 თელავის და გორის სპორტის სასახლეების დატვირთვა 2022-2023 წლებში⁶¹

თელავის სპორტის სასახლე



გორის სპორტის სასახლე



თელავის სპორტის სასახლე წლიურად საშუალოდ დატვირთულია 21%-ით,⁶² ხოლო გორის – 43%-ით, შესაბამისად, აღნიშნულ ინფრასტრუქტურას გააჩნია თავისუფალი რესურსი. აღსანიშნავია ასევე, რომ აღნიშნულ რეგიონში ფუნქციონირებს კალათბურთის ფედერაციის მიერ 2022-2023 წლის სეზონზე ორგანიზებულ ტურნირებში მონაწილე საკალათბურთო კლუბების 10% (9 კლუბი),⁶³ ხოლო აღნიშნული კლუბებიდან მხოლოდ ერთი კლუბი სარგებლობს ინფრასტრუქტურით, რაც შესაძლოა მიუთითებდეს, რომ ზოგიერთი კლუბისთვის სახელმწიფო ინფრასტრუქტურის დაქირავება ფინანსურად ნაკლებად ხელმისაწვდომია.

57 ინფრასტრუქტურის ძირითადი ნაწილი მულტიფუნქციურია (გარდა ღია მოედნებისა), შესაბამისად, დატვირთულია, როგორც ფეხბურთის და კალათბურთის მიმართულებებით, ასევე სხვა სპორტული სახეობებითაც (მაგალითად, ფრენბურთი, ხელბურთი და სხვ.). ინფრასტრუქტურა რიგ შემთხვევაში ასევე დატვირთულია არასპორტული მიმართულებით, როგორიცაა, მაგალითად, გამოფენა და ა.შ.

58 ობიექტების ქირავნობაზე დაწესებულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნით დადგენილი ტარიფები. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფი გაეცნო თითოეულ ობიექტზე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნას ტარიფთან დაკავშირებით.

59 დატვირთვა გააანალიზებულია ობიექტების რესურსის/გამოთავისუფლებული რესურსის განსაზღვრის მიზნით.

60 თითოეული კომპლექსი აერთიანებს ორ დარბაზს, შესაბამისად, იგულისხმება ორივე დარბაზის გასაშუალოებული მაჩვენებელი.

61 დატვირთვა მოცემულია შემდეგ პერიოდზე: 01.01.2022-01.11.2023 წწ.

62 დიდი და პატარა დარბაზის გასაშუალოებული მაჩვენებელი, დატვირთვა გამოთვლილია 8-საათიანი საშუალო გრაფიკის გათვალისწინებით.


63 აღსანიშნავია ასევე, რომ ეს რაოდენობა აღნიშნულ რეგიონში ფუნქციონირებადი კლუბების მინიმალური რაოდენობაა.

ინფოგრაფიკი № 3.2.2 თბილისში მდებარე ოლიმპიური სასახლის, თბილისი არენასა და ბათუმის სპორტის სასახლეების დატვირთვა⁶⁴ 2022-2023 წლებში⁶⁵

თბილისი არენა

ოლიმპიური სასახლე

ბათუმის სპორტის სასახლე



ანალოგიურად, თბილისში მდებარე ოლიმპიურ სასახლეს, თბილისი არენასა და ბათუმის სპორტის სასახლეს აქვს არასრული დატვირთვა და ინფრასტრუქტურას გააჩნია თავისუფალი რესურსი. ამასთანავე, თბილისში ფუნქციონირებს საკალათბურთო კლუბების⁶⁶ 58% (51 კლუბი), ხოლო რეგისტრირებულ მოთამაშეთა რაოდენობა საერთო რაოდენობის 66%-ს (3 548 მოთამაშე) შეადგენს, თუმცა აღნიშნული კლუბებიდან მხოლოდ ერთი კლუბის შემთხვევაში ფიქსირდება თბილისში მდებარე დარბაზებით სარგებლობა,⁶⁷ მაშინ როცა აღნიშნული ობიექტები წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ინფრასტრუქტურას რეგიონში.

აღსანიშნავია ასევე, რომ თბილისში არსებული ფეხბურთის ღია მოედნების შემთხვევაშიც, სტადიონებს აქვთ თავისუფალი რესურსი.


ინფოგრაფიკი № 3.2.3 თბილისში მდებარე ღია მოედნების საშუალო დატვირთვა⁶⁸ 2022-2023 წლებში⁶⁹

ხელოვნური სტადიონ(ებ)ის საშუალო დატვირთვა

ბუნებრივი სტადიონ(ებ)ის საშუალო დატვირთვა

ხელოვნური სტადიონ(ებ)ის საშუალო დატვირთვა

ბუნებრივი სტადიონ(ებ)ის საშუალო დატვირთვა



64 ოლიმპიური სასახლე და ბათუმის სპორტის სასახლე აერთიანებს ორ დარბაზს, შესაბამისად, მოცემულია ორივე დარბაზის გასაშუალოებული მაჩვენებელი.

65 თბილისი არენამ ფუნქციონირება დაიწყო 2022 წლის აგვისტოში, შესაბამისად, დატვირთვა მოცემულია 2023 წელზე (იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით პერიოდზე).

66 იგულისხმება 2022-2023 წლის სეზონზე კალათბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირებში მონაწილე კლუბები.

67 აღნიშნულ ფინანსურ ხელმისაწვდომობასთან ერთად კერძო კლუბების შემთხვევაში შესაძლებელია გამოწვეული იყოს საკუთარი ინფრასტრუქტურის არსებობით.

68 ბუნებრივისა და ხელოვნურსა და ბუნებრივი სტადიონების გასაშუალოებული მაჩვენებელი, დატვირთვა გამოთვლილია 8-საათიანი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით.

69 დატვირთვა მოცემულია შემდეგ პერიოდზე: 01.01.2022-01.11.2023 წწ.

ინფრასტრუქტურაზე სპორტული კლუბების ფინანსური ხელმისაწვდომობის შეფასების მიზნით, აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა ფეხბურთის და კალათბურთის პროფესიული კლუბების გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით:

მიზნობრიობა

კალათბურთი: 41 გამოკითხული კალათბურთის პროფესიული კლუბიდან 36 კლუბი აღნიშნავს, რომ ქირაობს სპორტულ ინფრასტრუქტურას სავარჯიშოდ ან/და ჩემპიონატებისთვის. აქედან, 20 კლუბი აღნიშნავს, რომ ქირაობს სახელმწიფო ინფრასტრუქტურას, 15 კლუბი – კერძო საკუთრებაში არსებულ ინფრასტრუქტურას, ხოლო 4 კლუბს გააჩნია საკუთარი ინფრასტრუქტურა;⁷⁰


ფეხბურთი: 51 გამოკითხული ფეხბურთის პროფესიული კლუბიდან 32 კლუბი აღნიშნავს, რომ ქირაობს სპორტულ ინფრასტრუქტურას სავარჯიშოდ ან ჩემპიონატებისთვის. აქედან 20 კლუბი აღნიშნავს, რომ ქირაობს სახელმწიფო ინფრასტრუქტურას, 11 კლუბი – კერძო საკუთრებაში არსებულ ინფრასტრუქტურას, ხოლო ერთ კლუბს გააჩნია საკუთარი ინფრასტრუქტურა.

სახელმწიფო ინფრასტრუქტურით სარგებლობის ტარიფი და ხელმისაწვდომობა

კალათბურთი: 41 გამოკითხული კალათბურთის კლუბიდან 34-მა დააფიქსირა პოზიცია სახელმწიფო ინფრასტრუქტურით სარგებლობაზე დაწესებულ ტარიფთან დაკავშირებით.

ფეხბურთი: 51 გამოკითხული ფეხბურთის კლუბიდან 34-მა დააფიქსირა პოზიცია სახელმწიფო ინფრასტრუქტურით სარგებლობაზე დაწესებულ ტარიფთან დაკავშირებით.

გრაფიკი № 3.2.4 კალათბურთის და ფეხბურთის კლუბების გამოკითხვის შედეგები სახელმწიფო ინფრასტრუქტურაზე დაწესებული ტარიფით სარგებლობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით



70 ჩამოთვლილი/წარმოდგენილი რაოდენობა არ ემთხვევა ჯამურს, რადგან სამი კლუბი ქირაობს, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო საკუთრებაში არსებულ ინფრასტრუქტურას.

საშუალევნო საჩივრით საჩივრობა

კალათბურთი: სახელმწიფო ინფრასტრუქტურის ქირავნობისას საშუალევნო ტარიფების შეთავაზების შემთხვევა 34 კლუბიდან⁷¹ მხოლოდ 11 კლუბს ჰქონდა.

ფეხბურთი: სახელმწიფო ინფრასტრუქტურის ქირავნობისას საშუალევნო ტარიფების შეთავაზების შემთხვევა 33 კლუბიდან⁷² მხოლოდ 13 კლუბს ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ კალათბურთის და ფეხბურთის კლუბების უმეტესობა ქირაობს სახელმწიფო ინფრასტრუქტურას, თუმცა არსებობენ კლუბები, რომლებისთვისაც აღნიშნული ინფრასტრუქტურა ნაკლებად ხელმისაწვდომია. ამასთანავე, რიგ შემთხვევაში სახელმწიფო ინფრასტრუქტურა არ არის საკმარისად დატვირთული, რაც საშუალებას იძლევა გაიზარდოს კლუბებისთვის ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა.

დასკვნა

სპორტულ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა და სახელმწიფოს მხრიდან სპორტის მხარდაჭერის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

სამინისტრო არ ფლობს სრულ, ზუსტ და განახლებულ სტატისტიკურ ინფორმაციას ფეხბურთისა და კალათბურთის მიმართულებებით ქვეყნის მასშტაბით არსებული პროფესიული სპორტული ინფრასტრუქტურის შესახებ, რაც პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის, ასევე სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ქვეყნის მასშტაბით შესაფერისი და საკმარისი პროფესიული სპორტული ინფრასტრუქტურის არსებობა გამომწვევაა, რაც აისახება ინფრასტრუქტურის ფიზიკურ ხელმისაწვდომობასა და გეოგრაფიული დაფარვის ნაკლოვანებებში.

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საერთაშორისო სტანდარტების ინფრასტრუქტურას რიგ შემთხვევაში არ აქვს შესაბამისი დატვირთვა და ფიქსირდება ობიექტების დაბალი პროდუქტიულობის მაჩვენებელი, ხოლო არსებული მოდელი არ ითვალისწინებს სისტემურ მიდგომას კლუბების მიერ სახელმწიფო ინფრასტრუქტურის ქირავნობის შემთხვევაში საშუალევნო ტარიფის დაწესებასთან დაკავშირებით. ამავდროულად, კალათბურთის კლუბებისთვის გამოწვევაა აღნიშნული საკითხი, რაც საშუალებას იძლევა გაიზარდოს კლუბებისთვის ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა.

71 14-მა კლუბმა თავი შეიკავა პასუხის დაფიქსირებისგან, ხოლო 9 კლუბმა დააფიქსირა მსგავსი შემთხვევის არარსებობა.

72 27-მა კლუბმა თავი შეიკავა პასუხის დაფიქსირებისგან, ხოლო 7-მა კლუბმა დააფიქსირა მსგავსი შემთხვევის არარსებობა.



ჩაკონკრეტო საინიშნო:

ჩაკონკრეტო N 1

სპორტის ინფრასტრუქტურული პროექტების სათანადოდ დაგეგმვის მიზნით, სამინისტრომ ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ფედერაციებთან და სხვა შესაბამის მხარეებთან თანამშრომლობით დანერგოს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სრული, ზუსტი და განახლებული ინფორმაციის მიღებას მათ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ან/და საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის შესახებ.

ჩაკონკრეტო N 2

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის პროდუქტიულად გამოყენების და ამავდროულად ინფრასტრუქტურაზე კლუბების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სამინისტრომ შესაბამის მხარეებთან კოორდინაციით შეიმუშაოს პოლიტიკა, კლუბებისთვის სპორტული ობიექტებით სარგებლობის შესახებ.



4. კლუბების დაფინანსების მოდელი

4.1. სახელმწიფო მიერ დაფინანსებადი კალათბურთის და ფეხბურთის კლუბების ფინანსური ჩასუნის ხაზგადასმის და მონიტორინგი

საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის მიზანია ფეხბურთის პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის მიმართული ღონისძიებების მხარდაჭერა, მათ შორის, საფეხბურთო კლუბების დაფინანსება, რომელიც გაიცემა საბაზისო, პრემიალური/საპრიზო და სტიმულირების სამი ძირითადი კომპონენტის შესაბამისად.

კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ერთ-ერთი მიზანია საქართველოში კალათბურთის განვითარება, რაც სხვა აქტივობებთან ერთად საკალათბურთო კლუბების საბაზისო დაფინანსებას ითვალისწინებს.

საბაზისო დაფინანსება მოიცავს ყველა იმ ძირითად ხარჯს, რომელიც საჭიროა კლუბის ფუნქციონირებისათვის, მაგალითად, ფეხბურთის შემთხვევაში ხარჯები მოიცავს: ფეხბურთელების, მწვრთნელების და ადმინისტრაციული თანამშრომლების ხელფასებს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ) საწევრო გადასახადს, სამივლინებო, კვების, საოფისე, ეკიპირების, სამედიცინო და სხვა ხარჯებს.⁷³

ცხრილი №4.1.1 2016-2022 წლებში ფეხბურთის განვითარების ფონდის ბიუჯეტი, საბაზისო დაფინანსების კომპონენტის მოცულობა და კომპონენტის წილი მთლიან ბიუჯეტში (ფაქტობრივი ხარჯი)

კატეგორია	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
საფეხბურთო კლუბების საბაზისო დაფინანსების კომპონენტი	25,464,784	23,845,535	20,853,467	18,847,000	17,934,160	17,924,403	19,554,000
ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა (ბიუჯეტი)	28,125,719	34,561,253	36,847,275	37,004,351	22,568,160	36,976,808	37,039,392
პროცენტული წილი	91%	69%	57%	51%	79%	48%	53%

2016-2022 წლებში პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ბიუჯეტის,⁷⁴ საშუალოდ, 62% – საბაზისო დაფინანსების სახით, კლუბების საბიუჯეტო სუბსიდირებაზეა მიმართული. დაფინანსებას იღებენ ეროვნულ ლიგებსა⁷⁵ და რეგიონალურ ლიგაში მოთამაშე კლუბები, ჯამში – 80 გუნდი.⁷⁶

73 ანგარიში კლუბების დაფინანსების შესახებ – 2023 წელი.

74 18,5% – ფინანსურ სტიმულირებაზე, 13,6% – საპრიზო და პრემიალურ დაფინანსებაზე, ხოლო დანარჩენი 5,9% – საფეხბურთო განათლებისა და მასობრივი საფეხბურთო ღონისძიებების დაფინანსებისთვის გადანაწილდა.

75 4 ლიგა.

76 2022 წლის მონაცემი.



ცხრილი №4.1.2 2019-2022 წლებში კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ბიუჯეტი, კლუბების საბაზისო დაფინანსების კომპონენტის მოცულობა და კომპონენტის წილი მთლიან ბიუჯეტში (ფაქტობრივი ხარჯი)

პროგრამის დასახელება	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
კლუბების საბაზისო დაფინანსების კომპონენტის მოცულობა	3 870 000	3 960 000	4 020 000	4 020 000
კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერა (ბიუჯეტი)	9 999 613	10 649 999	9 884 773	10 389 684
პროცენტული წილი	39%	37%	41%	39%

2019-2022 წლებში კალათბურთის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ბიუჯეტის, საშუალოდ, 39% მიმართული იყო საკალათბურთო კლუბების დაფინანსებაზე. დაფინანსებას იღებენ სუპერლიგასა და „ა“ ლიგაში მოთამაშე კლუბები, ჯამში – 14 კლუბი.⁷⁷

ცხრილი №4.1.3 2018-2022 წლებში სუპერლიგასა⁷⁸ და „ა“ ლიგაში მოთამაშე საკალათბურთო კლუბების⁷⁹ საბაზისო დაფინანსების მოცულობა

საბაზისო დაფინანსება	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
სუპერლიგა	450 000	450 000	450 000	450 000	450 000
„ა“ ლიგა	60 000	60 000	60 000	70 000	70 000

2022 წელს სუპერლიგის თითოეული კლუბის დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 450 000 ლარი, ხოლო „ა“ ლიგის შემთხვევაში – 70 000 ლარი.

საფეხბურთო კლუბების საბაზისო დაფინანსების კომპონენტის ფარგლებში გახარჯული თანხების ყველაზე დიდი წილი მოდის ხელფასებზე. ყველა ლიგის მიხედვით, 2019-2022 წლებში „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან გახარჯული თანხების პროცენტული წილი მთლიან ხარჯთან მიმართებით, საშუალოდ, 52%-ია,⁸⁰ ჯამში – 38,601,141 ლარი.

აღსანიშნავია, რომ ოთხივე ეროვნული ლიგის შემთხვევაში საბაზისო დაფინანსების კომპონენტით გამოყოფილი ფინანსური რესურსის ფარგლებში კლუბებს უფლება აქვთ დაფარონ ფეხბურთელების შრომის ანაზღაურების ხარჯი, თუმცა გამონაკლისია „რეგიონალური ლიგა“.

ცხრილი № 4.1.6 2019-2022 წლებში ლიგების მიხედვით ფეხბურთელებზე გაცემული ხელფასები

	2019	2020	2021	2022
„ლიგა 1“	1 825 648	2 312 221	2 167 701	1 844 527
„ლიგა 2“	1 043 067	1 658 237	1 336 037	1 088 206
„ლიგა 3“	548 556	995 129	970 703	1 074 153
„ლიგა 4“	376 193	538 605	528 752	737 046

77 2022 წლის მონაცემი, სუპერლიგის 8 და „ა“ ლიგის 6 კლუბი. სუპერლიგაში, ჯამში – თამაშობს 11 კლუბი, თუმცა 3 კლუბი მუნიციპალურ დაფინანსებაზეა და პროგრამის ფარგლებში დაფინანსებას არ იღებს.

78 სუპერლიგის შემთხვევაში, დაფინანსების მოცულობაში იგულისხმება: 2017-2018, 2018-2019, 2019-2020, 2020-2021, 2021-2022 წლების სეზონების მიხედვით განსაზღვრული დაფინანსების მოცულობა.

79 ცხრილში დაფინანსების მოცულობა მოცემულია თითოეულ კლუბზე.

80 აღნიშნული პროცენტი მოიცავს მხოლოდ საბაზისო დაფინანსების ფარგლებში „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გახარჯულ თანხებს, საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით (არ მოიცავს საპენსიო გადასახადს და სახელფასო დავალიანებებს).



2019-2022 წლებში „ლიგა 1“ და „ლიგა 2-ის“ მიერ ფეხბურთელების „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ჯამში გახარჯულია 13,275,644 ლარი, „ლიგა 3-ის“ და „ლიგა 4-ის“ შემთხვევაში 5,769,137 ლარი, ხოლო რეგიონალური ლიგის შემთხვევაში, საბაზისო დაფინანსების ფარგლებში ფეხბურთელების შრომის ანაზღაურების გაცემის უფლება კლუბებს არ აქვთ. კერძოდ, საბაზისო დაფინანსების მიხედვით, რეგიონალური ლიგის შემთხვევაში, შრომის ანაზღაურება გათვალისწინებული უნდა იქნეს მხოლოდ ადმინისტრაციისთვის და მწვრთნელებისთვის. 2019-2022 წლებში ადმინისტრაციულ თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი 753,343 ლარია. არსებული რეგულაციით რეგიონალურმა ლიგამ ფეხბურთელების ხელფასები უნდა უზრუნველყოს კლუბების მხრიდან შემუშავებული საპრემიო სისტემიდან, რაც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს რეგიონალური ლიგის კლუბებს სხვა ლიგის კლუბებთან მიმართებით.

აღნიშნული ლიგის კლუბების მხრიდან უნდა მომხდარიყო ფეხბურთელებისთვის პრემიალური სისტემის შემუშავება, თუმცა 2019-2022 წლების რეგიონალურ ლიგაში მოთამაშე კლუბების 51%-ის მიერ „პრემიის“ მუხლიდან თანხა არ არის გაცემული.

ცხრილი №4.1.7 2019-2022 წლებში რეგიონალურ ლიგაში მოთამაშე კლუბების რაოდენობა, რომელთაც „პრემიის“ მუხლიდან თანხა არ აქვთ გაცემული

წელი	კლუბების რაოდენობა	რეგიონალურ ლიგაში არსებულ კლუბებთან მიმართებით პროცენტული წილი
2019	18	49%
2020	25	64%
2021	6	46%
2022	13	46%

საბაზისო დაფინანსება მოიცავს ყველა იმ ხარჯს, რომელიც საჭიროა კლუბის ფუნქციონირებისათვის. საფეხბურთო კლუბების შემთხვევაში, თითოეულ კლუბთან ფორმდება ხელშეკრულება, სადაც განერილია 18 პუნქტი, რაში შეუძლია გახარჯოს საბაზისო დაფინანსებით მიღებული თანხა.

ფეხბურთის კლუბების შემთხვევაში, საბაზისო დაფინანსების ხარჯვასთან დაკავშირებით დანერგილია მონიტორინგის მექანიზმი. კერძოდ, კლუბებისთვის თანხის გადარიცხვის საფუძვლებია:

1. ხელშეკრულება.
2. ყოველთვიურად, წინა პერიოდში მიღებული თანხის ხარჯვის შესახებ, კლუბის მიერ წარმოდგენილი ანგარიში, რომლის ხარჯვის მიზნობრიობას უნდა ამოწმებდეს ფონდის მიერ განსაზღვრული თანამშრომელი – ე.წ. „კურატორი“ ლიგების მიხედვით.
3. ადმინისტრაციული მენეჯერის მიერ ბუღალტრისათვის გაგზავნილი ელექტრონული ინფორმაცია გადასარიცხი თანხების, მისი საფუძვლებისა და მიმღები პირების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ კალათბურთის კლუბების შემთხვევაში,⁸¹ არ არის განერილი ის პუნქტები/კომპონენტები, რაშიც კლუბს შეუძლია გახარჯოს აღნიშნული თანხა. კლუბებთან ეს საკითხი რეგულირდება მიღება-ჩაბარების აქტებით, თუმცა მონიტორინგის მექანიზმი დანერგილი არ არის.

81 ურთიერთობა რეგულირდება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტებით.



ცხრილი № 4.1.8 2018-2022 წლებში საკალთბურთო კლუბებზე გაცემული საბაზისო დაფინანსება

საბაზისო დაფინანსება	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
სუპერლიგა	2 940 000	3 510 000	3 600 000	3 600 000	3 600 000
„ა“ ლიგა	360 000	360 000	360 000	420 000	420 000
ჯამი:	3 300 000	3 870 000	3 960 000	4 020 000	4 020 000

2018-2022 წლებში კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში კლუბების საბაზისო დაფინანსებაზე, ჯამში გახარჯულია 19,170,000 ლარი.

სამინისტროს და კალათბურთის ფედერაციის მიერ აუდიტის პერიოდისთვის არ იყო დანერგილი მონიტორინგის მექანიზმები კლუბების მიერ ფინანსური რესურსის ხარჯვასთან დაკავშირებით, რომლებიც პერიოდულად უზრუნველყოფს კლუბებიდან მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინფორმაციის მიღებას. აღნიშნული წარმოშობს ფინანსური რესურსის არაეფექტიანად და არაპროდუქტიულად განკარგვის რისკებს. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდისთვის კალათბურთის ფედერაციის მიერ დაწყებული იყო მუშაობა მონიტორინგის მექანიზმების დანერგვასთან დაკავშირებით. კერძოდ, სუპერლიგის დებულებაში ასახული იყო მოთხოვნა, საბაზისო დაფინანსებაზე მყოფი კლუბების მიერ მიღებული საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში ფინანსური რესურსის ხარჯვასთან დაკავშირებით, ფედერაციაში ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე.⁸² ობიექტის განმარტებით, მსგავსი ცვლილების შეტანა იგეგმება „ა“ ლიგის დებულებაშიც, ამასთანავე, ობიექტის განმარტებით, კლუბებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავების/ანალიზის შემდეგ იგეგმება შესაბამისი კრიტერიუმებისა და თანხების მინიმალური და მაქსიმალური ზღვრების დანესება ფინანსური რესურსის ხარჯვასთან დაკავშირებით.

საბიუჯეტო რესურსით დაფინანსების ფარგლებში, მნიშვნელოვანია არსებობდეს მონიტორინგის ქმედითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კლუბებიდან უკუკავშირის მიღებას, ფინანსური რესურსის ხარჯვასთან დაკავშირებით.

დასკვნა

საბაზისო დაფინანსების კომპონენტის მიხედვით, ფეხბურთის შემთხვევაში არ არის შემუშავებული ერთგვაროვანი მიდგომა ლიგებს შორის. კერძოდ, არათანაბარი მიდგომაა რეგიონალური ლიგის დაფინანსებასთან მიმართებით, სხვა დანარჩენ ლიგებთან შედარებით. ხოლო კალათბურთის შემთხვევაში, არ არის დანერგილი მონიტორინგის მექანიზმები კლუბებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის ხარჯვის შესახებ უკუკავშირის მისაღებად.

დაფინანსების არსებული მოდელის პირობებში, იზრდება საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად განკარგვის რისკები.

⁸² კლუბი ვალდებულია ს.კ.ე.ფ.-ს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია მათ შორის, ფედერაციის მიერ დაფინანსებული თანხის გასული სეზონის ხარჯების ჩამონათვალის შევსებული ფორმა, რომელიც ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს დამოუკიდებელი აკრედიტირებული აუდიტორის მიერ. ამასთან, ს.კ.ე.ფ უფლებამოსილია აუდიტირებული დოკუმენტის შესახებ ჩაატაროს საკუთარი აუდიტი, ხოლო კლუბი ვალდებულია ს.კ.ე.ფ-ს მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტი და ინფორმაცია. (სუპერლიგის დებულება, მუხლი 14, პუნქტი 14.5).

ჩაქოქენდასტია ჟახუნიტის ბანკითაჩაბის ჟონდს

ჩაქოქენდასტია N 3

საფეხბურტო ლიგებისტვის ტანაბარი მხარდამჭერი მექანიზმების უბრუნველყოფის მიზნით, რეგიონალურ ლიგასტან მიმართებით შეფასდეს საბაზისო დაფინანსების ფარგლებში განსაზღვრული პრიორიტეტების მიზანშეწონილობა.

ჩაქოქენდასტია კადატუნიტის ეროვნულ ჟაღუჩასტას

ჩაქოქენდასტია N 4

საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად განკარგვის მიზნით დაინერგოს მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც უბრუნველყოფს საკალატბურტო კლუბებიდან მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინფორმაციის მიღებას კლუბების მიერ საბაზისო დაფინანსების ფარგლებში მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასტან დაკავშირებით.



5. მწვრთნელთა მომზადება და გადამზადება

სპორტის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სასპორტო განათლება. მწვრთნელთა მომზადების სისტემა უზრუნველყოფს სპორტის მასწავლებლებისა და პროფესიონალი მწვრთნელების მომზადებას. პროფესიონალ მწვრთნელებს ამზადებს შესაბამისი სახეობის ეროვნული სპორტული ფედერაცია და გასცემს შესაბამის ლიცენზიას/კატეგორიას.⁸³

მწვრთნელებს ცენტრალური როლი აქვთ სპორტსმენების და გუნდების სპორტული მიღწევების გაუმჯობესებაში, შესაბამისად, მწვრთნელთა განათლების და ლიცენზირების პროგრამებმა მნიშვნელოვანია უზრუნველყონ სათანადო კვალიფიკაციის მქონე მწვრთნელების მომზადება და გადამზადება. საერთაშორისო პრაქტიკით, მწვრთნელთა სერტიფიცირების სისტემა განსხვავდება სპორტული სახეობების და ქვეყნების მიხედვით, ხოლო სასერტიფიკატო/სალიცენზიო კურსების შექმნასა და მწვრთნელთა გადამზადებაში ერთ-ერთ წამყვან როლს ეროვნული და საერთაშორისო ფედერაციები ასრულებენ.⁸⁴

ცხრილი №5.1 რეგიონების მიხედვით ფეხბურთის მიმართულებით რეგისტრირებულ მოთამაშეთა და მწვრთნელთა განაწილება, მუნიციპალიტეტების მასშტაბით ფეხბურთის მიმართულებით სექციის მოსარგებლეთა და მწვრთნელთა რაოდენობა, ასევე მოთამაშეთა თანაფარდობა მწვრთნელთა რაოდენობასთან მიმართებით⁸⁵

რეგიონი	რეგისტრირებულ მოთამაშეთა რაოდენობა	რეგისტრირებულ მწვრთნელთა რაოდენობა	მოთამაშეთა პროპორცია მწვრთნელებთან მიმართებით	სექციის მოსარგებლეთა რაოდენობა	სექციის მწვრთნელთა რაოდენობა	მოთამაშეთა პროპორცია მწვრთნელებთან მიმართებით
აჭარა	835	87	1:10	539	28	1:19
გურია	352	36	1:10	612	60	1:10
თბილისი	5764	522	1:11	70	8	1:9
იმერეთი	2504	216	1:12	1683	82	1:21
კახეთი	546	64	1:9	2058	95	1:22
მცხეთა-მთიანეთი	105	4	1:26	581	35	1:17
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	95	4	1:24	342	12	1:29
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1883	126	1:15	1698	84	1:20
სამცხე-ჯავახეთი	152	7	1:22	475	24	1:20
ქვემო ქართლი	821	70	1:12	1171	54	1:22
შიდა ქართლი	875	68	1:13	1572	70	1:22

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ფეხბურთის მწვრთნელის ოპტიმალური განაწილება ასეთია: 1 მწვრთნელზე, მაქსიმუმ, 10-12 ფეხბურთელი.⁸⁶ ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებულ

83 სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 2014-2020, გვ. 17.

84 European sport coaching framework, გვ. 62.

85 რეგისტრირებულ მოთამაშეთა რაოდენობა მოიცავს – 2021 წლის, ხოლო სექციის მოსარგებლეთა რაოდენობა – 2023 წლის მონაცემებს.

86 <https://publications.fifa.com/en/talent-development/train-the-talents/>; <https://barcaacademy.fcbarcelona.com/en/news/1483337/4what-is-the-coach-to-player-ratio>



მოთამაშეთა და მწვრთნელთა ჯამური რაოდენობის გათვალისწინებით, საშუალოდ, რეგისტრირებულ მოთამაშეთა თანაფარდობა მწვრთნელთან მიმართებით შეადგენს 12-ს და უტოლდება საერთაშორისო მაჩვენებელს, თუმცა რეგიონების მიხედვით მწვრთნელების განაწილება არათანაბარია და მკვეთრი სხვაობები იკვეთება. მწვრთნელთა რაოდენობისა და ფეხბურთელების თანაფარდობის გათვალისწინებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია კახეთის, აჭარისა და გურიის რეგიონებში, ხოლო მცირე რაოდენობის მწვრთნელია მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში.

ცხრილი №5.2 2023 წლის მდგომარეობით, რეგიონების მიხედვით კალათბურთის მიმართულებით რეგისტრირებულ მოთამაშეთა და მწვრთნელთა განაწილება, მუნიციპალიტეტების მასშტაბით კალათბურთის მიმართულებით სექციის მოსარგებლეთა და მწვრთნელთა რაოდენობა, ასევე მოთამაშეთა თანაფარდობა მწვრთნელთა რაოდენობასთან მიმართებით

რეგიონი	რეგისტრირებულ მოთამაშეთა რაოდენობა	რეგისტრირებულ მწვრთნელთა რაოდენობა	მოთამაშეთა პროპორცია მწვრთნელებთან მიმართებით	სექციის მოსარგებლეთა რაოდენობა	სექციის მწვრთნელთა რაოდენობა	მოთამაშეთა პროპორცია მწვრთნელებთან მიმართებით
აჭარა	202	16	1:13	145	13	1:11
გურია	48	4	1:12	236	9	1:26
თბილისი	3548	186	1:19	-	-	-
იმერეთი	426	43	1:10	851	31	1:27
კახეთი	190	17	1:11	460	24	1:19
მცხეთა-მთიანეთი	0	0	0	89	6	1:15
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	16	5	1:3	113	16	1:7
სამეგრელო-ზემო სვანეთი	80	10	1:8	613	11	1:56
სამცხე-ჯავახეთი	32	7	1:5	96	6	1:16
ქვემო ქართლი	512	28	1:18	579	20	1:29
შიდა ქართლი	300	25	1:12	778	26	1:30

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, კალათბურთის მწვრთნელის ოპტიმალური განაწილება – 1 მწვრთნელზე, მაქსიმუმ, 10 კალათბურთელი.⁸⁷ ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებულ მოთამაშეთა და მწვრთნელთა ჯამური რაოდენობის გათვალისწინებით, საშუალოდ, მოთამაშეთა თანაფარდობა მწვრთნელთან მიმართებით შეადგენს 16-ს, რაც ჩამორჩება საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებულ მაჩვენებელს, ხოლო რეგიონების მიხედვით მოთამაშეთა და მწვრთნელთა თანაფარდობის გათვალისწინებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, ასევე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ხოლო მცირე რაოდენობის მწვრთნელია თბილისისა და ქვემო ქართლის რეგიონში.


87 <https://nationalacademyofathletics.com/faq-items/what-is-the-player-coach-ratio/>



5.1 ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული საგანმანათლებლო პროგრამები

საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი მიზანი საფეხბურთო განათლების, მათ შორის, მწვრთნელთა, მსაჯთა და სხვა პერსონალის ლიცენზირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სათანადო დონეზე მომზადება-გადამზადებისთვის ხელშემწყობი შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელებაა. აღნიშნული მიმართულებით, 2017-2022 წლებში, ჯამში გახარჯულია – 1 026 111 ლარი.

გრაფიკი №5.1.1 2017-2022 წლებში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გახარჯული ფინანსური რესურსი წლების მიხედვით



ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ შეიძლება დაფინანსდეს კონკრეტული აპლიკანტის სწავლის საფასური⁸⁸ ან/და კონკრეტული საგანმანათლებლო პროექტი. საგანმანათლებლო პროექტის/აქტივობის დაფინანსების შემთხვევაში, ფონდი ძირითადად ფარავს პროექტის ორგანიზებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.⁸⁹ და ⁹⁰

2017-2022 წლებში ფონდის მიერ დაფინანსებული საფეხბურთო საგანმანათლებლო პროგრამები/პროექტები:

- მწვრთნელების გადამზადება და ასევე ახალ საგანმანათლებლო საფეხურზე გადასვლა (PRO, A, B ლიცენზიები);
- მსაჯების აკადემია;
- საფეხბურთო ექიმების გადამზადების კურსი;
- საფეხბურთო მოედნის მინდვრის მომვლელთა გადამზადების კურსი;
- საფეხბურთო მენეჯერების კურსი (CFM – certified football manager).

88 მთლიანად ან ნაწილობრივ.

89 მოიცავს ისეთ ხარჯებს, როგორებიცაა: სასტუმრო, ეკიპირება და სხვ.

90 გარდა CFM- ისა.



ინფოგრაფიკი №5.1.1 2017-2022 წლებში დაფინანსებული პროექტებისა და ინდივიდუალური აპლიკანტების რაოდენობა



აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში აპლიკანტის შერჩევის პროცესში ფონდი მონაწილეობას არ იღებს, შერჩევას ახორციელებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. კონტინგენტის შერჩევის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია წერილობითი სახით მიმართავს ფონდს და აწვდის შერჩეულ აპლიკანტთა სიას, რის შემდეგაც შესაბამის კლუბთან, რეგიონალურ ფედერაციასთან ან/და სკოლასთან ფორმდება ხელშეკრულება, რომლის წარმომადგენელმაც უნდა გაიაროს შესაბამისი კურსი. ფონდი უზრუნველყოფს აპლიკანტის სასწავლო პროგრამის ან/და პროექტის ნაწილობრივ ან სრულ დაფინანსებას და ურიცხავს მათ თანხას, ისინი კი – საქართველოს ეროვნულ ფედერაციას, რომელიც ხშირ შემთხვევაში განათლების პროგრამის განმახორციელებელია.

ფონდი მხოლოდ დაფინანსების ნაწილში იღებს მონაწილეობას და მასთან არ იგზავნება ინფორმაცია აპლიკანტის მიერ მიღებული შედეგების შესახებ კონკრეტული პროგრამის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტმა წარმატებით ვერ გაიარა კურსი, მათ შორის განმეორებით, ფონდის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულების პირობებით თანხის უკან დაბრუნების საკითხი არ არის გათვალისწინებული, რაც ზრდის ფინანსური რესურსის არაეფექტიანი ხარჯვის რისკებს. 2017-2022 წლებში ფონდის მიერ დაფინანსდა 193 აპლიკანტის სწავლის საფასური. დაფინანსებული აპლიკანტებიდან 27 აპლიკანტი ფონდის მიერ დაფინანსდა სრულად, ხოლო 150 აპლიკანტი – თანადაფინანსებით (ნაწილობრივ). ჯამში, 2017-2022 წლებში აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გახარჯულია 455 300 ლარი.⁹¹ მოცემული აპლიკანტებიდან 2019-2022 წლებში კურსი ვერ გაიარა 11-მა აპლიკანტმა (7%).

91 მათ შორის, 2019-2022 წლებში გახარჯულია 256 800 ლარი.



5.2 კალათბურთის მწვრთნელთა მომზადება და გადამზადება

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის (FIBA)⁹² შიდა რეგულაციების მიხედვით, ყველა წევრი ქვეყნის ფედერაცია ვალდებულია ჰქონდეს⁹³ მწვრთნელთა ლიცენზირების სისტემა.

FIBA-ს წევრი ქვეყნების უმეტესობაში მწვრთნელთა ლიცენზირების სისტემა იყოფა კატეგორიების მიხედვით. აღნიშნულის ერთ-ერთი კარგი მაგალითია ესპანეთი, სადაც კალათბურთის ფედერაციის⁹⁴ მიერ ორგანიზებული სასწავლო კურსების გავლის შემდეგ აპლიკანტს ენიჭება სხვადასხვა კატეგორიის ლიცენზია.

ცხრილი №5.2.1 ინფორმაცია ესპანეთის კალათბურთის მწვრთნელთა ლიცენზირების პროგრამის შესახებ

	0 დონე	I დონე	II დონე
კურსის შინაარსი/ მიმართულებები	კალათბურთის რეგულაციები, ძირითადი საფუძვლები, მეთოდოლოგია და გუნდების მართვა	ინდივიდუალური და გუნდური ვარჯიშები, თამაშის ტაქტიკა და გუნდების მართვა	თამაშის ტაქტიკა, გუნდების მართვა, თამაშის წესები, ფიზიკური მომზადება, კალათბურთის ფსიქოლოგია და სპორტული მედიცინა
კურსის ხანგრძლივობა	მაქსიმუმ, 50 საკონტაქტო საათი	მინიმუმ, 200 საკონტაქტო საათი	მინიმუმ, 400 საკონტაქტო საათი
ასაკობრივ გუნდებთან მუშაობის უფლება	მინი-კალათბურთის და 14- წლამდე ასაკობრივი გუნდები	16-წლამდე ასაკობრივი გუნდები	17 წლიდან და ზემოთ ასაკობრივი გუნდები
სერტიფიკატის მისაღებად აუცილებელი პირობა	-	სტაჟირება	სტაჟირება

ასევე არსებობს მე-3 და მე-4 დონის სალიცენზიო პროგრამა, რომლის სერტიფიკატი უტოლდება ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხს შესაბამისად და მწვრთნელს ანიჭებს ექსპერტის წოდებას.

საქართველოში კალათბურთის ეროვნული ფედერაციისა და მწვრთნელთა კავშირის ორგანიზებით 2018 წლიდან⁹⁵ ხორციელდება მწვრთნელთა გადამზადებისა და ლიცენზირების პროგრამა, რომლის მიხედვითაც მოთამაშეების ასაკობრივი კატეგორიების გათვალისწინებით, არსებობს მწვრთნელთა სამი სახის ლიცენზია: C, B და A.

92 კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის წევრია 212 ქვეყნის ეროვნული ფედერაცია, მათ შორის, საქართველო (<https://www.fiba.basketball/national-federations>).

93 <https://www.fiba.basketball/internal-regulations/book3/players-and-officials.pdf> pg.22

94 იგულისხმება როგორც რეგიონალური, ასევე ეროვნული.

95 მწვრთნელთა პირველი ნაკადი გადამზადდა 2018 წელს.

გრაფიკი №5.2.1 მწვრთნელთა გადამზადებისა და ლიცენზირების პროგრამის კატეგორიები



C კატეგორიის ეტაპის ხანგრძლივობა შეადგენს 4 დღეს, 16 საკონტაქტო საათს და მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ნაწილს,⁹⁶ ხოლო B კატეგორიის ეტაპი – 2 დღეს, 16 საკონტაქტო საათს და მოიცავს მხოლოდ პრაქტიკულ ნაწილს.⁹⁷ აღსანიშნავია, რომ აუდიტის პერიოდისთვის არ იყო განხორციელებული A კატეგორიის ლიცენზიის სასწავლო პროგრამა, შესაბამისად, არ არსებობდა შესაძლებლობა 18 წლიდან ასაკობრივი გუნდების მწვრთნელებისთვის ლიცენზიის აღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით.⁹⁸

საქართველოსგან განსხვავებით, საერთაშორისო პრაქტიკით მწვრთნელთა ლიცენზირების პროგრამა დატვირთულია სხვადასხვა აქტივობით, ასევე დონეების მიხედვით იზრდება სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობა (საკონტაქტო საათების რაოდენობა) და სასწავლო მასალაც უფრო მრავალფეროვანი და დეტალურია. აღსანიშნავია ასევე, რომ თითქმის ყველა დონისთვის სავალდებულოა სტაჟირება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რაც საშუალებას აძლევს მწვრთნელებს, მიიღონ კარგი პრაქტიკული გამოცდილება. რაც შეეხება სილაბუსს, მაგალითად, FIBA ევროპის მწვრთნელთა სერტიფიცირების პროგრამაზე, სილაბუსების განახლება ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ.

მწვრთნელი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოთამაშეების სპორტული შესაძლებლობების განვითარებაში და პასუხისმგებელია შესაბამისი სპორტული კლუბის ან სპორტსმენის ადგილობრივ ან/და საერთაშორისო შეჯიბრებებზე შედეგების გაუმჯობესებასა და წარმატების მიღწევაზე, შესაბამისად, კალათბურთის მწვრთნელისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ თამაშის საფუძვლების ცოდნა, მას ასევე უნდა შეეძლოს მოთამაშეების მოტივაცია, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება და წარმატებული გუნდის შექმნა.⁹⁹

96 თითოეული ნაწილის ხანგრძლივობა შეადგენს 8 საკონტაქტო საათს.

97 აღსანიშნავია, რომ B კატეგორიის ლიცენზირების პროგრამაზე მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია აპლიკანტს მიღებული ჰქონდეს C კატეგორიის ლიცენზია.

98 თუმცა აღსანიშნავია, რომ 18 წლიდან და ზემოთ ასაკობრივი ნაკრების კლუბები, მათ შორის თამაშობენ ისეთ ლიგებში, როგორებიცაა, „ა“ ლიგა და სუპერლიგა. აღნიშნულ კლუბებს რიგ შემთხვევებში ჰყავთ უცხოელი მწვრთნელები.

99 <https://blog.blindside.pro/posts/wie-werde-ich-basketball-trainer-in->

მწვრთნელთა ლიცენზირების პროგრამის ფარგლებში არ არის განერილი პროგრამის მიზნები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სილაბუსი, რაც პროგრამის ეფექტიანად განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამასთანავე, პროგრამის განხორციელების საწყისიდან აუდიტის პერიოდამდე სასწავლო მასალად გამოყენებულია 2000 წელს FIBA-სა და კალათბურთის მწვრთნელთა ევროპული ასოციაციის მიერ მწვრთნელებისთვის შექმნილი სახელმძღვანელო, რომლის გამოყენებაც მიზანშეწონილია არა მხოლოდ კალათბურთის მწვრთნელებისთვის, არამედ სხვა სათამაშო სახეობების მწვრთნელებისთვისაც.¹⁰⁰ შესაბამისად, აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს მწვრთნელებისთვის საბაზისო ცოდნის მიღებას, კონკრეტული სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის დასაწყისში ითარგმნა FIBA-ს თანამედროვე სახელმძღვანელო და აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2025 წლის დასაწყისში იგეგმება აღნიშნულ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, განახლებული ლიცენზირების პროგრამის მიხედვით, ლიცენზირების სამივე ეტაპის ჩატარება. ამასთანავე, ობიექტის განმარტებით, დამატებით მიმდინარეობს FIBA-ს რეკომენდაციებისა და სხვადასხვა საკალათბურთო ქვეყნის გამოცდილების გაზიარება.

ცხრილი №5.2.2 2018-2022 წლებში სალიცენზიო პროგრამით გადამზადებულ მწვრთნელთა რაოდენობა

კატეგორია	2018 წელი	2019 წელი	2020 ¹⁰¹ წელი	2021 წელი	2022 წელი
მხოლოდ C	75	24	-	69	36
C და B	52	10	-	48	16

2018-2022 წლებში C კატეგორიის ლიცენზია მინიჭებული აქვს 330 მწვრთნელს, რომელთა 38%-ს (126 მწვრთნელი) ასევე მინიჭებული აქვს B კატეგორიის ლიცენზია. ქვეყანაში რეგისტრირებულ მწვრთნელთა რაოდენობის გათვალისწინებით (341 მწვრთნელი), C კატეგორიის ლიცენზია აქვს მწვრთნელთა 97%-ს, ხოლო B კატეგორიის ლიცენზია – 37%-ს.

აღსანიშნავია, რომ სასერტიფიკატო პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანია დაწესებული იყოს სერტიფიკატის მოქმედების გონივრული ვადა. საერთაშორისო პრაქტიკით¹⁰² სამწვრთნელო ლიცენზია რეგულარულად უნდა განახლდეს. განახლების ვადა განსხვავებულია ლიცენზიის ტიპის მიხედვით¹⁰³ და მერყეობს 2-4 წლამდე, ასევე განახლება რიგ შემთხვევებში ითვალისწინებს სერტიფიცირებული პირის მიერ უწყვეტ საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის ვალდებულებას.¹⁰⁴ აღსანიშნავია, რომ საქართველოში B და C ტიპის ლიცენზია მოქმედია 2025 წლამდე, მიუხედავად იმისა, როდის ჩააბარა მონაწილემ აღნიშნული გამოცდა. ლიცენზიის ტიპების მიხედვით არ არის განსაზღვრული სერტიფიცირების მოქმედების გონივრული ვადა.

სემინარების შემდეგ, მწვრთნელობის ლიცენზიის მისაღებად აპლიკანტებმა თეორიულ ნაწილში უნდა გაიარონ ტესტირება და ჩააბარონ პრაქტიკული გამოცდა, რის შემდეგაც აპლიკანტს

100 კალათბურთი ახალგაზრდა მოთამაშეთათვის – სახელმძღვანელო მწვრთნელებისთვის.

101 2020 წელს პანდემიის გამო პროგრამა არ განხორციელებულა.

102 განხილულია გერმანიის მაგალითზე.

103 იგულისხმება ასაკობრივი კატეგორია, ვისთან მუშაობის უფლებაც სერტიფიკატის მიხედვით მწვრთნელს ენიჭება.

104 ეროვნული ასოციაციები და გერმანიის კალათბურთის ეროვნული ფედერაცია პასუხისმგებელია სერტიფიკატის დადასტურებასა და ვადის გაგრძელებაზე.

ენიჭება შესაბამისი კატეგორიის ლიცენზია. გამოცდის წარმატებით გადალახვა გულისხმობს ტესტირების ჩაბარებას, სადაც დადგენილი ზღვარია 60%. აღსანიშნავია, რომ თეორიულ ნაწილში გამოყენებული საგამოცდო ტესტების 82% იდენტურია სასწავლო მასალაში მოცემული ტესტების, შესაბამისად, პროგრამის შეფასების სისტემა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მონაწილეების ცოდნის რეალურ შეფასებას.

დასკვნა

სპორტის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სასპორტო განათლებისა და მწვრთნელთა მომზადების სისტემის შექმნა.

ფეხბურთის განვითარების ფონდის ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში შემოიფარგლება მხოლოდ დაფინანსების ნაწილში მონაწილეობის მიღებით. ფონდი არ ფლობს ინფორმაციას პროგრამების ფარგლებში მონაწილეების შერჩევის კრიტერიუმების შესახებ. ამასთანავე, არ არის დანერგილი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს უკუკავშირის მიღებას დაფინანსებული აპლიკანტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დაფიქსირებული შედეგების შესახებ.

კალათბურთის მწვრთნელთა ლიცენზირების პროგრამის ფარგლებში არ არის გაწერილი პროგრამის მიზნები და სასწავლო კურსი, რაც პროცესის ეფექტიანად განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ასევე პროგრამა არ ფარავს A კატეგორიის ლიცენზიას. სასწავლო კურსის შინაარსი არ ითვალისწინებს საერთაშორისო პრაქტიკით აპრობირებულ კომპონენტებს, ხოლო სალიცენზიო ტესტები სასწავლო მასალაში მოცემული ტესტების იდენტურია, რაც სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მონაწილეების ცოდნის რეალურ შეფასებას.

რეკომენდაცია ფეხბურთის განვითარების ფონდს

რეკომენდაცია N 5

საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად ხარჯვის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების ფარგლებში დაინერგოს მექანიზმები, რომლებიც შესაბამის მხარეებთან კოორდინაციით უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების მონიტორინგს.

რეკომენდაცია კალათბურთის ჩოპნაქ ფეხბურთს

რეკომენდაცია N 6

მწვრთნელთა ლიცენზირების პროგრამის ეფექტიანად დაგეგმვის, სათანადო კვალიფიკაციის მქონე მწვრთნელების მომზადებისა და საიმედო შეფასების სისტემის დანერგვის მიზნით:

- გაიწეროს ლიცენზირების სასწავლო პროგრამა ეტაპების მიხედვით და განისაზღვროს ლიცენზიის მოქმედების გონივრული ვადა;
- შემუშავდეს A კატეგორიის მწვრთნელთა ლიცენზიის სასწავლო პროგრამა;
- შეფასდეს სასწავლო მასალისა და სასწავლო საათების რელევანტურობა პროგრამის მიზნებთან მიმართებით;
- დაინერგოს სალიცენზიო ტესტირების ეფექტიანი მექანიზმი.



6. გავზიარებ და მოზარდებში ნიჭის გამოვლენისა და განვითარების სისტემა

6.1 სპორტის პირობითი სახეობები

სპორტის 2014-2020 წლების სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, პოლიტიკის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ასევე სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა დადგენა და მათი განვითარების პირობების შექმნა. ამასთანავე, სამინისტროს სამოქმედო გეგმის ფარგლებში ეროვნული მნიშვნელობის პრიორიტეტად, სხვა საკითხებთან ერთად, განსაზღვრულია მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის ხელშეწყობა. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, სამინისტრო მხარს უჭერს და აფინანსებს იმ ფედერაციებს, რომელთა პოლიტიკაც ითვალისწინებს მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის ხელშეწყობასა და ხელმისაწვდომობას.

ცხრილი №6.1.1 2019-2023 წლებში მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში ფეხბურთის და კალათბურთის მიმართულებებით დაფინანსება¹⁰⁵ და დაფინანსების პროცენტული წილი მთლიან ხარჯთან მიმართებით

პროგრამის დასახელება	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	საშუალო %
ა(ა)იპ – ფეხბურთის განვითარების ფონდი	37 004 351	22 568 160	36 976 808	37 039 392	40 039 400	26%
ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერა	6 394 616	4 079 415	–	–	–	5%
კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერა	9 999 613	10 649 999	9 884 773	10 389 684	14 531 703	8%

2019-2023 წლებში სამინისტროს მიერ დაფინანსებულია 13 სპორტული სახეობა,¹⁰⁶ მათ შორის, დაფინანსების მიხედვით პირველ ადგილზეა ფეხბურთი, ხოლო მესამე ადგილზე – კალათბურთი. გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნისთვის აღნიშნული სპორტული სახეობების განვითარება მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

მასობრივი სპორტის განვითარებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნების პოლიტიკაში და გარდა ფიზიკური აქტივობისა და სპორტის, როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისა, აღნიშნული განიხილება, როგორც მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ერთ-ერთი საფუძველი, პერსპექტიულ სპორტსმენთა აღმოჩენის თვალსაზრისით. მაგალითად, საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ესპანეთის სპორტის განვითარების ხედვა 2030 – მასობრივი სპორტის განვითარების მიმართულებით, მიზნად ისახავს როგორც სპორტით დაკავებული ადამიანების რაოდენობის ზრდას, ასევე ოპტიმალური პირობების შექმნას სპორტული ნიჭის გამოვლენისთვის და პერსპექტიული სპორტსმენების ყოვლისმომცველი მომზადებისთვის სპორტულ და აკადემიურ დონეზე.¹⁰⁷ სპორტის პოლიტიკის განვითარებაზე

¹⁰⁵ 2023 წელზე მოცემულია დაგეგმილი ბიუჯეტი.

¹⁰⁶ იგულისხმება სპორტული სახეობების მიხედვით არსებული ქვეპროგრამები. დაფინანსება გაცემულია მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების და პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.


¹⁰⁷ <https://www.csd.gob.es/en/node/1358>



პასუხისმგებელია განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში არსებული სპორტის უმაღლესი საბჭო, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ფედერაციებთან და სხვა შესაბამის უწყებებთან. სპორტში ესპანეთის წარმატების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია ახალგაზრდების მაღალი ჩართულობა და სისტემაში მაღალკვალიფიციური მწვრთნელების არსებობა.¹⁰⁸ სტრატეგიით განსაზღვრული მიზნის – სპორტში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდის მისაღწევად შემუშავებულია რეგულაციები, რომელთა თანახმადაც, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც 20 000 მოსახლეზე მეტია, ადგილობრივი ხელისუფლება უზრუნველყოფს სპორტული წრეების არსებობას მოქალაქეებისთვის. გარდა ზემოაღნიშნულისა, სპორტის განვითარების სტრატეგია 2030-ის მიხედვით, აღნიშნული მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია სასკოლო სპორტის განვითარება.

აღსანიშნავია ასევე, რომ საერთაშორისო პრაქტიკით ქვეყნის მასშტაბით სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლი უჭირავს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე სპორტული ფედერაციების მჭიდრო თანამშრომლობასა და კოორდინირებულ პოლიტიკას.

სურათი №6.1.1 სპორტის პოპულარიზაციისა და განვითარებაში ჩართულ მხარეებს შორის თანამშრომლობა



საქართველოში კულტურისა და სპორტის სამინისტრო სხვა ამოცანებთან ერთად სპორტის სფეროში ერთიანი საჯარო პოლიტიკის შემუშავებას, განხორციელებას/განხორციელების ხელშეწყობასა და მონიტორინგს ახორციელებს.¹⁰⁹

გარდა სამინისტროსი, სპორტის განვითარებაში ჩართულია შესაბამისი სპორტული სახეობის ფედერაციები და ადგილობრივი ხელისუფლება მუნიციპალიტეტების სახით, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მათ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე. მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ¹¹⁰ სხვადასხვა სპორტული სახეობის მიხედვით ბავშვებისთვის/მოზარდებისთვის სპორტული წრეების/სექციების არსებობას, ასევე სექციებზე ჩარიცხული ბავშვების/მოზარდების მონაწილეობას სხვადასხვა რეგიონალურ თუ

108 World's Leading Sport Systems, PROJECT PLAY, Aspen Institute.

109 საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მაისის № 229 დადგენილება „საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

110 ხელშეწყობა ხორციელდება მუნიციპალიტეტების სპორტული ცენტრების მეშვეობით.

შესარჩევ ტურნირში. შესაბამისად, ბავშვთა სპორტის განვითარებასა და სპორტული სახეობების პოპულარიზაციაში მუნიციპალიტეტებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ.

მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ერთ-ერთი საფუძველია ბავშვთა სპორტის განვითარება და ბავშვების/მოზარდების მაღალი ჩართულობა სპორტში. აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა რეგიონების მიხედვით ფეხბურთის და კალათბურთის წრეების მოსარგებლეთა რაოდენობა და 6-18 წლის ასაკის ბავშვების/მოზარდების ჩართულობა.

ცხრილი №6.1.2 რეგიონების მიხედვით ფეხბურთის და კალათბურთის სექციების მოსარგებლეთა და 6-18 წლის ასაკის ბავშვების/მოზარდების რაოდენობა

რეგიონი	ფეხბურთის სექციის მოსარგებლეთა რაოდენობა	კალათბურთის სექციის მოსარგებლეთა რაოდენობა	6-18 წლის ასაკის ბავშვების/ მოზარდების რაოდენობა		
			გოგო	ბიჭი	ჯამი:
აჭარა	539	145	32,738	35,417	68,155
გურია	612	236	6,923	7,363	14,286
იმერეთი	1,683	851	39,055	41,855	80,910
კახეთი	2,058	460	21,558	24,142	45,700
მცხეთა-მთიანეთი	581	89	6,147	6,700	12,847
რაჭა-ლეჩხუმი და ქვ. სვანეთი	342	113	1,435	1,436	2,871
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1,698	613	21,882	23,456	45,338
სამცხე-ჯავახეთი	475	96	11,437	12,785	24,222
ქვემო ქართლი	1,171	579	35,068	39,470	74,538
შიდა ქართლი	1,572	778	18,978	20,413	39,391
ჯამი:	10, 731	3,960	195,221	213,037	408,258

რაც შეეხება თბილისს, სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სექციებით, ფეხბურთის შემთხვევაში სარგებლობს – 70, ხოლო კალათბურთის შემთხვევაში – 24 მოზარდი, ხოლო თბილისში მცხოვრები 6-18-წლამდე ახალგაზრდების ჯამური რაოდენობა, დაახლოებით, 226,961-ს (111,025 გოგო და 115,936 ბიჭი) შეადგენს.

ქვეყნის მასშტაბით ფეხბურთის და კალათბურთის სექციების მოსარგებლეთა რაოდენობისა და 6-18 წლის ასაკის ბავშვების/მოზარდების რაოდენობრივი მაჩვენებლის გათვალისწინებით, აღნიშნული მიმართულებებით ბავშვების/მოზარდების ჩართულობა დაბალია. მაგალითად, ინგლისში აღნიშნული მაჩვენებელი ფეხბურთის მიმართულებით 38.5%-ს¹¹¹ უტოლდება, ხოლო კალათბურთის მიმართულებით – 16.1%-ს.¹¹²

აღსანიშნავია, რომ ბავშვების/მოზარდების ჩართულობა დაბალია მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტების უმრავლესობის მიერ შეთავაზებულ წრეებზე სწავლება უფასოა. კერძოდ, აუდიტის ჯგუფის მიერ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, კალათბურთის მიმართულებით მუნიციპალიტეტების¹¹³ 98% მოსახლეობას წრეებს სთავაზობს უფასოდ, ხოლო ფეხბურთის შემთხვევაში – მუნიციპალიტეტების 91%.¹¹⁴ ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი არ უკავშირდება

111 <https://www.statista.com/statistics/421058/football-sport-involvement-children-england-uk/>

112 <https://www.statista.com/statistics/421118/basketball-children-sport-involvement-england-uk/>


113 გამოკითხულია 42 მუნიციპალიტეტი, 41 მუნიციპალიტეტში უფასოა, 1-ში – ფასიანი.

114 გამოკითხულია 43 მუნიციპალიტეტი. 39 მუნიციპალიტეტში უფასოა, 4-ში – ფასიანი.



სპორტულ წრეებზე რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული ბარიერების არსებობას. წრეზე რეგისტრაცია შეუძლია ყველა მსურველს და აღნიშნული ბარიერები აუდიტის პროცედურებით არ გამოვლენილა,¹¹⁵ თუმცა აღნიშნული სერვისის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, შესაძლოა არსებობდეს ფიზიკური და ინფორმაციული ბარიერები. აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტების მიერ ბავშვებისთვის/მოზარდებისთვის შეთავაზებული სპორტული წრეების შესახებ ინფორმირებულობის შეფასების მიზნით, ჩაატარა სკოლის მოსწავლეების მშობლების გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მშობლების უმრავლესობა არ ფლობს ინფორმაციას მუნიციპალიტეტების მიერ შეთავაზებული სპორტული წრეების შესახებ, კერძოდ:

გრაფიკი № 6.1.1 მუნიციპალიტეტების მიერ ბავშვებისთვის/მოზარდებისთვის შეთავაზებული სპორტულ წრეებზე მშობლების გამოკითხვის შედეგები



გამოკითხული 185 მშობლიდან, 66 – ინფორმირებულია, ხოლო 119 მშობელი არ ფლობს ინფორმაციას მუნიციპალიტეტების მიერ ბავშვებისთვის/მოზარდებისთვის შეთავაზებული უფასო სპორტული წრეების შესახებ. აღსანიშნავია, რომ 66 ინფორმირებული მშობლიდან 32-მა მიუთითა, რომ მათი შვილი არ სარგებლობს მუნიციპალიტეტების მიერ შეთავაზებული სპორტული წრეებით. არსარგებლობის მიზეზად მშობლები¹¹⁶ ყველაზე ხშირად ასახელებენ სპორტული წრეების ტერიტორიულ სიშორეს (10 მშობელი), სპორტული წრეებისადმი ნაკლებ ინტერესს (5 მშობელი), კერძო სპორტული წრეებით სარგებლობას (3 მშობელი) და სხვ. (3 მშობელი).¹¹⁷


აღსანიშნავია, რომ სპორტის სისტემური და მდგრადი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების მიერ ბავშვებისთვის/მოზარდებისთვის შეთავაზებული სპორტული სახეობები თანხვედრაში იყოს დასახულ პრიორიტეტებთან. აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაცია მათ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, სპორტული სახეობების მიხედვით მოზარდებისთვის შეთავაზებული წრეების/სექციების შესახებ. ანალიზის მიხედვით, მუნიციპალიტეტების მასშტაბით იკვეთება კალათბურთის და ფეხბურთის მიმართულებით წრეების არარსებობის შემთხვევები.

115 შესაძლებელია გვიანი რეგისტრაცია, ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით არ არის შეზღუდვა და სხვ.

116 32-დან 21 მშობელმა მიუთითა არსარგებლობის მიზეზი.

117 სამიდან ორი მშობელი დროის არქონას ასახელებს მიზეზად, ხოლო ერთი მწვრთნელის უხეშ დამოკიდებულებას.

ინფოგრაფიკი №6.1.1 მუნიციპალიტეტების მასშტაბით ფეხბურთის და კალათბურთის მიმართულებებით წრეების/სექციების ფუნქციონირება



63 მუნიციპალიტეტიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის მიხედვით, 13 მუნიციპალიტეტში (21%) არ ფუნქციონირებს კალათბურთის წრე/სექცია, ხოლო ფეხბურთის მიმართულებით, მხოლოდ 3 მუნიციპალიტეტში ფიქსირდება მსგავსი შემთხვევა. აღნიშნული რიგ შემთხვევებში შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორც, მუნიციპალიტეტის მასშტაბით შესაბამისი პროფესიული ინფრასტრუქტურის არარსებობით, ისე იმ ფაქტით, რომ სამინისტროს მიერ ამ დრომდე არ არის დამტკიცებული პრიორიტეტულ სპორტულ სახეობათა ნუსხა და სამინისტროსა და მუნიციპალიტეტებს შორის პრიორიტეტული სპორტული სახეობების განსაზღვრასთან დაკავშირებით ნაკლებია კოორდინაცია; ასევე: ორ მუნიციპალიტეტში¹¹⁸ არ არსებობს სახელმწიფო სპორტული ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის შესაბამისი წრეების შეთავაზებას.

აღსანიშნავია, რომ პოტენციური მოთხოვნის შეფასების მიზნით, აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში 6-18 წლის ასაკის ბავშვების/მოზარდების რაოდენობა. კალათბურთის შემთხვევაში, გემოაღნიშნულ 13 მუნიციპალიტეტში, სადაც არ ფუნქციონირებს კალათბურთის სექცია, 6-18 წლის ასაკის ბავშვების/მოზარდების რაოდენობა 43 842-ს¹¹⁹ უტოლდება, ხოლო ფეხბურთის შემთხვევაში, გემოაღნიშნულ 3 მუნიციპალიტეტში – 10 242-ს.¹²⁰

118 წალკა და ადიგენი.

119 სქესის მიხედვით განაწილება: გოგო – 20 302, ბიჭი – 23 540.

120 სქესის მიხედვით განაწილება: გოგო – 4 872, ბიჭი – 5 370.

6.2 ბავშვთა ასაკში სპორტული ნიჭის გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობის სისტემა

სპორტის 2014-2020 წლების სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია სპორტის განვითარების აუცილებლობაზე, როგორც მაღალი მიღწევების სპორტისთვის საფუძვლის ჩასაყრელად, ასევე სპორტული ნიჭის მქონე ბავშვების გამოსავლენად.

კვლევების მიხედვით, მაღალი მიღწევების სპორტის განვითარებისა და საერთაშორისო მასშტაბით წარმატებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ტალანტების მოძიების და განვითარების სისტემა.¹²¹ შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყნის მაღალი მიღწევების სპორტის პოლიტიკის და სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა – ბავშვებში ნიჭის გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობის სისტემის შექმნა და სრულყოფა, რაც მაღალი მიღწევების სპორტის განვითარებაზე მოქმედებს და საერთაშორისო რეიტინგებში გაუმჯობესებული შედეგებით გამოიხატება. საერთაშორისო პრაქტიკით, სპორტული სახეობის ფედერაციების გარდა, აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სპორტის სამინისტრო, ასევე რეგიონალური და ადგილობრივი თვითმმართველობები. სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში იქმნება სტრატეგია და პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს შესაბამისი ნიჭის მქონე ბავშვების იდენტიფიცირებას და მათი სათანადო განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნულის კარგი მაგალითებია ინგლისი და ესპანეთი, სადაც ეროვნულ დონეზე შემუშავებულია ნიჭიერ სპორტსმენთა იდენტიფიცირების და განვითარების სტრატეგია და პროგრამები.

ესპანეთში სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე პასუხისმგებელია განათლების, სპორტისა და კულტურის სამინისტრო,¹²² სადაც პოლიტიკის განმახორციელებელს სპორტის უმაღლესი საბჭო წარმოადგენს. სპორტის უმაღლესი საბჭო არის ადმინისტრაციული ხასიათის ავტონომიური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია სახელმწიფო მმართველობის განხორციელებაზე სპორტში. სპორტის შესახებ ესპანეთის კანონის¹²³ მიხედვით, მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება სახელმწიფოს პრიორიტეტია. მთავრობა, ავტონომიურ ერთეულებთან კოორდინაციით, განსაზღვრავს იმ ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია სპორტსმენების ტექნიკური მომზადებისა და მხარდაჭერისთვის. აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად და საერთაშორისო სპორტული რეალობის გასაანალიზებლად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პერსპექტიულ სპორტსმენთა აღმოჩენას, განვითარებასა და მონიტორინგს, რაც სპორტის საბჭოს ერთ-ერთი ამოცანაა. აღნიშნული მიზნით, სპორტის უმაღლესმა საბჭომ 2002 წელს წამოიწყო ათლეტების განვითარების გრძელვადიანი პროგრამა. ეროვნული პროგრამის მიზანია ახალი ათლეტების აღმოჩენა, სელექცია და მონიტორინგი, ათლეტების მხარდაჭერა ნიჭის განვითარებითა და მაღალი მიღწევების უზრუნველყოფით. აღნიშნული მიზნები ხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამების მეშვეობით:

- სპორტული ცენტრების მიერ განხორციელებული პროგრამები – მიზნად ისახავს პერსპექტიული სპორტის სახეობების გამოვლენასა და მათ ტექნიკურ გაუმჯობესებას;
- სპორტული ნიჭის გამოვლენის პროგრამა;
- ესპანეთის მომავალი ეროვნული გუნდების პროგრამა.

121 De Bosscher et al., 2006.

122 რეორგანიზაციის შემდეგ სამინისტროს სახელწოდება გახდა: პროფესიული მომზადებისა და სპორტის სამინისტრო.

123 მიღებულია 1990 წლის 15 ოქტომბერს.



აღნიშნული პროგრამა გახდა მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველი. პროგრამა ხორციელდება სხვადასხვა სპორტულ დაწესებულებასთან,¹²⁴ რეგიონალურ და ადგილობრივ მთავრობებთან და სპორტულ ფედერაციებთან კოორდინაციით.

ნიჭიერ ბავშვთა იდენტიფიცირების მიმართულებით, ღონისძიებებზე ყურადღება ასევე გამახვილებულია ესპანეთის სპორტის განვითარების ეროვნულ ხედვა 2030-ზე, რომლის მიხედვით, სპორტის სფეროში ძირითადი მიზნებია შემდეგი:

- ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს დაწესებულებებში ფიზიკური აქტივობისა და სპორტში ჩართულობის ზრდა;
- ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლენისა და ტექნიკური განვითარების პროგრამების გაუმჯობესება და ინოვაცია;
- სპორტსმენების მოტივაციისა და ოპტიმალური პროგრესის მიღწევა სპორტულ და აკადემიურ დონეზე, კარიერის ყველა ეტაპზე, როგორც მასობრივი, ასევე მაღალი მიღწევების სპორტის მიმართულებით;
- მთელი ცხოვრების განმავლობაში სპორტისა და ფიზიკური აქტივობის, როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

ხედვის თანახმად, სკოლის ასაკის ბავშვებისთვის სპორტის მიმართულებით მხარდაჭერა ერთ-ერთ აქტივობად მოიაზრებს სხვადასხვა სპორტულ სახეობაში ნიჭიერი ბავშვების გამოვლენის პროგრამების შემუშავებასა და მათ ტექნიკურ სასწავლო პროგრამებში ჩართვას.¹²⁵


სპორტსმენთა იდენტიფიცირებისა და ნიჭის განვითარების მიმართულებით საინტერესო პრაქტიკას გვთავაზობს ინგლისიც, რომელიც როგორც ინდივიდუალურ, ასევე გუნდურ დონეზე წარმატებით ასპარეზობდა სხვადასხვა ოლიმპიურ თუ არაოლიმპიურ სახეობაში. აღნიშნულ შედეგებს ხელი შეუწყო როგორც მიზნობრივი პროგრამების ეფექტიანმა განხორციელებამ, ასევე ტალანტების მოძიების სწორი სისტემის შექმნამ. Sport England – დამოუკიდებელი საჯარო ინსტიტუცია, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყანაში სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე, ქვეყანაში არსებული ტალანტების მოძიების მოდელს მოიხსენიებს, როგორც ერთ-ერთ საუკეთესოს.

სპორტსმენთა ნიჭის განვითარებას და შესაძლებლობების რეალიზებას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა, რის მხარდასაჭერადაც შემუშავებულია ათლეტების ნიჭის განვითარების სტრატეგია. სტრატეგია ორიენტირებულია შექმნას ისეთი გარემო, სადაც შესაბამისი მახასიათებლებისა და შესაძლებლობის მქონე ყველა პირს შეეძლება საკუთარი პოტენციალის რეალიზება. აღნიშნული მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და არაერთი ფაქტორის გათვალისწინებას, რომელმაც შეიძლება დადებითად ან უარყოფითად იმოქმედოს სპორტსმენის განვითარებასა და მის მიღწევებზე.

124 ადგილობრივი და ავტონომიური ორგანიზაციები.

125 Plan 2030 DE APOYO AL DEPORTE BASE.





აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ფეხბურთის და კალათბურთის მიმართულებით აღნიშნული კომპონენტი არ იფარება. საქართველოში, პასუხისმგებელი სამინისტროს განმარტებით, სპორტის მიმართულებით ნიჭიერ ბავშვთა იდენტიფიცირებას ახორციელებს შესაბამისი სპორტული ფედერაციები. რაც შეეხება ნიჭიერ ბავშვთა განვითარებას, სამინისტროს ჩართულობა ამ მიმართულებით მინიმალურია და გამოიხატება ინდივიდუალურ სპორტის სახეობებში ნიჭიერ ბავშვთა დაფინანსებით.¹²⁷ თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი სპორტის რიგ სახეობებთან მიმართებით, ეროვნულ ფედერაციებთან ერთად უზრუნველყოფს განსაკუთრებული სპორტული მონაცემებითა და ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენასა და მათ სპორტულ მომზადებას. სამინისტროს განმარტებით, ცენტრის სპორტსმენთა საცხოვრებელი გათვალისწინებულია 120 ბენეფიციარ სპორტსმენზე. ამასთან, ცენტრში მოქმედებს უფასო სპორტული სექციები, რომელებიც, ბენეფიციარ-სპორტსმენთა გარდა, ითვალისწინებს 400-500 სპორტსმენის მომსახურებას, სპორტის შემდეგ სახეობებში: ძიუდო, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით ჭიდაობა, კრივი, ძალოსნობა, მძლეოსნობა, მშვილდოსნობა და ფარიკაობა.¹²⁸

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის განმარტებით, კალათბურთის მიმართულებით პერიოდულად ხორციელდება ნიჭიერ ბავშვთა იდენტიფიცირება ეროვნული ნაკრების მწვრთნელების მიერ.

126 წყარო: The talent plan for England, figure.


127 ლონისძიებაზე წასვლა და სხვ.

128 სამინისტროს განმარტებით, სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის ტერიტორიაზე ამჟამად მიმდინარეობს ცენტრის ბალანსზე არსებული სივრცეების სარეაბილიტაციო სამუშაოები, აგრეთვე შენდება ახალი მრავალპროფილური (ორსართულიანი) სპორტული დარბაზი, რომელიც გათვლილია 4 მიმართულებაზე (კრივი, მშვილდოსნობა, ფარიკაობა და ფიზიკური განვითარების/ტრენაჟორების დარბაზი) და ძიუდოს ახალი დარბაზი. ცენტრი განახლებული სახით ფუნქციონირებას შეძლებს დაახლოებით 2025 წლის მარტის თვიდან.

ფედერაციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ნიჭიერი ბავშვების იდენტიფიცირება ხორციელდება სხვადასხვა შეჯიბრებაზე, მათ შორის, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ ასაკობრივ ჩემპიონატებსა და მინი-ტურნირებში, სადაც სპორტსმენებს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენის საშუალება ეძლევათ. ასევე სელექციის მიზნით სისტემატურად ხდება ქვეყნის გარეთ მოასპარეზე ახალგაზრდებზე დაკვირვება, მათი თამაშებისა თუ სტატისტიკის თვალყურის დევნებით.

აუდიტის პერიოდისთვის ფედერაციის ეგიდით ასაკობრივი კატეგორიები ჩემპიონატების მიხედვით იყოფა შემდეგნაირად: ჯუნიორ NBA, 14, 16, 18 და 20-წლამდე საქართველოს ჩემპიონატი.

გრაფიკი №6.2.1 ასაკობრივი კატეგორიები ჩემპიონატების მიხედვით



ცხრილი № 6.2.1 2019-2023 წლებში ჩემპიონატებში მონაწილე კალათბურთელთა რაოდენობა

წელი	მონაწილეთა რ-ბა
2019	8,459
2020	220
2021	220
2022	3,404
2023	5,354

რაც შეეხება ფეხბურთს, აღნიშნული მიმართულებით შესაბამის ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.

საერთაშორისო პრაქტიკისგან განსხვავებით, საქართველოში ეროვნულ დონეზე არ არის შემუშავებული ნიჭიერ სპორტსმენთა მოძიებისა და განვითარების მხარდამჭერი სტრატეგია და შესაბამისი მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით ხელს შეუწყობს შესაბამისი მახასიათებლების მქონე სპორტსმენის აღმოჩენას, განვითარებასა და შესაძლებლობების რეალიზაციას.

დასკვნა

მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ერთ-ერთი საფუძველია ბავშვთა/მოზარდთა სპორტის მხარდაჭერა. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანი კომპონენტია ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, სპორტულ ფედერაციებსა და სხვა ჩართულ მხარეებს შორის მჭიდრო კოორდინაცია, მათ შორის, მუნიციპალიტეტების მიერ მოზარდებისთვის შეთავაზებულ სპორტულ სახეობებთან დაკავშირებით, რათა ეს ყოველივე თანხვედრაში იყოს ქვეყნის პრიორიტეტებთან.



რიგ შემთხვევებში, მუნიციპალიტეტების მასშტაბით იკვეთება კალათბურთის და ფეხბურთის მიმართულებებით წრეების არარსებობის შემთხვევები, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორც შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობით, ასევე იმ ფაქტით, რომ სამინისტროს მიერ არ იყო დამტკიცებული პრიორიტეტულ სპორტულ სახეობათა ნუსხა.

მუნიციპალიტეტების მიერ ბავშვებისთვის/მოზარდებისთვის შეთავაზებულ სპორტულ წრეებში ჩართულობა დაბალია მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული წრეებით სარგებლობა უფასოა, ხოლო ბავშვების რეგისტრაციისთვის ადმინისტრაციული ბარიერები არ ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ დაბალი ჩართულობა უმეტესად გამოწვეულია როგორც მშობლების ინფორმირებულობის ნაკლებობით, მუნიციპალიტეტების მიერ მოზარდებისთვის შეთავაზებული უფასო სპორტული წრეების შესახებ, ასევე რიგ შემთხვევაში – სპორტული წრეების ტერიტორიული სიშორით.

ნიჭის გამოვლენისა და განვითარების სისტემის შექმნა მნიშვნელოვანი წინაპირობაა სპორტის მდგრადი განვითარებისთვის. ნიჭიერ ბავშვთა იდენტიფიცირებას ახორციელებენ შესაბამისი სპორტული ფედერაციები, სამინისტროს ჩართულობა ამ მიმართულებით შემოიფარგლება მხოლოდ ინდივიდუალურ სპორტის სახეობებში ნიჭიერ ბავშვთა დაფინანსებით. საუკეთესო პრაქტიკისგან განსხვავებით, საქართველოში არ არის შემუშავებული პერსპექტიულ სპორტსმენთა იდენტიფიცირების და ნიჭის განვითარების სტრატეგია, რომელიც სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით უზრუნველყოფს შესაბამისი მახასიათებლების მქონე სპორტსმენის განვითარებას და შესაძლებლობების რეალიზებას.

ჩაკომენდაცია სამინისტროს

ჩაკომენდაცია N 7

სამინისტრომ სპორტში ბავშვებისა და მოზარდების ჩართულობის, ასევე მუნიციპალიტეტების მიერ ბავშვებისთვის/მოზარდებისთვის შეთავაზებული სპორტული წრეების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდისა და ეროვნულ დონეზე სპორტის პრიორიტეტული მიმართულებების ხელშეწყობის მიზნით, მოცემული მიმართულებით შეიმუშაოს პოლიტიკა მუნიციპალიტეტებთან და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციისათვის.

ჩაკომენდაცია სამინისტროს

ჩაკომენდაცია N 8

ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლენისა და განვითარების მიზნით, სამინისტრომ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამის სპორტულ ფედერაციებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციით შეიმუშაოს ბავშვებში/მოზარდებში ნიჭის გამოვლენისა და განვითარების სტრატეგია, რომელიც სხვადასხვა მხარის ჩართულობით ხელს შეუწყობს შესაბამისი მახასიათებლების მქონე სპორტსმენის აღმოჩენას, განვითარებასა და შესაძლებლობების რეალიზებას.



აუდიტორები

ხელმოწერა

ლიკა გეგეჭკორი

უფროსი აუდიტორი

ნათია კუპატაძე

უფროსი აუდიტორი

ირაკლი დალაქიშვილი

უფროსი აუდიტორი

ლ. გეგეჭკორი

ნ. კუპატაძე

ი. დალაქიშვილი

ბიბლიოგრაფია

წარმართული მასალა

- საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“;
- საქართველოს განვითარების სტრატეგია – ხედვა 2030;
- სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 2014-2020;
- ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტი 2018-2021;
- საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მაისის N229 დადგენილება „საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის N107 დადგენილება „საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016 – 2021 წწ.) სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

საერთაშორისო პრაქტიკა

- The Global Sporting Arms Race: An International Comparative Study on Sports Policy Factors Leading to International Sporting Success, De Bosscher et al., 2008;
- Differences in the Elite Sport Development Programmes that Lead to a Competitive Advantage;
- SPORTS CLUB POLICIES IN EUROPE – A comparison of the public policy context and historical origins of sports clubs across ten European countries, 2016;
- Public subsidies for sports clubs in Germany: Funding regulations, 2018;
- The Talent Plan For England – Creating the world's best talent system;
- The UK High Performance System Culture Capture Report. Lane 4. UK Sport 2017;
- Annual Review of Football Finance, Deloitte 2022.

ვებგვერდები:

- https://www.fiba.basketball/coaches/europe-coaching-certificate#tab=element_1_
- <https://sportcoach.es/cuantos-niveles-hay-de-entrenador-de-baloncesto/>
- <https://www.mundodeportivo.com/uncomo/deporte/articulo/como-obtener-el-titulo-de-entrenador-de-baloncesto34268.html#:~:text=Sin%20embargo%20tiene%20ciertos%20requisitos,del%20baloncesto%20y%20medicina%20deportiva>
- <https://blog.blindside.pro/posts/wie-werde-ich-basketball-trainer-in>
- <https://www.parlabasquet.com/baloncesto-edad-categorias/>
- <https://blog.blindside.pro/posts/wie-werde-ich-basketball-trainer-in>;
- <https://www.csd.gob.es/en/promotion-of-sport/national-programme-of-sports-technicization>
- https://www.researchgate.net/figure/The-sport-policy-factors-leading-to-international-sporting-success-SPLISS-model-De_fig1_266400386;
- <https://www.uefa.com/nationalassociations/uefarankings/club/#/yr/2023>;
- <https://www2.deloitte.com/uk/en/pages/sports-business-group/articles/deloitte-football-money-league.html>;
- <https://www.becomeapro.online/ser-entrenador-profesional-de-baloncesto-pasos-pros-contras-n-103-es#:~:text=CURSO%20DE%20ENTRENADOR%20DE%20BALONCESTO%20DE%20NIVEL%201,%2C%20Infantil%2C%20Cadete%20y%20Junior>;
- <https://sportcoach.es/cuantos-niveles-hay-de-entrenador-de-baloncesto/>;
- <https://www.parlabasquet.com/baloncesto-edad-categorias/>



